თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა:
სახელოვნებათმცოდნეო კვლევები 0213 .1.5

ქეთევან აბაშიძე

ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი

(მონოგრაფიული კვლევა)

დისერტაცია შესრულებულია თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

რეზიუმე

© 2021 ქეთევან აბაშიძე. საავტორო უფლებები დაცულია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი თუმანიშვილი +
ირინა ელიზბარაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
სამსონ ლეჟავა
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2021

ჩვენი მონოგრაფიული ნაშრომი ისტორიულ ქვემო ქართლში მდებარე ჰუჯაბის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ვრცელი სამონასტრო კომპლექსის მთავარ ჯვარგუმბათოვან ტაძარს ეხება, რომლის ახალი თუ წარსული ისტორია ადრე შუასაუკენეებიდან დღემდე ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ისტორიული ქვემო ქართლის ეს ტერიტორია დღეს სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა მოქცეული, საქართველო–სომხეთის დღეს მოქმედი საზღვრიდან დაალოებით 350-400 მ-ის დაშორებით.[1] სამონასტრო კომპლექსთან ახლომდებარე ერთადერთი სოფელია ს. ახქერპი(ძველი ჰუჯაბი), რომელიც მონასტრიდან 1კმ–ში მდებარეობს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სახელმწიფო ადმინისტრაციული დაყოფით მარნეულის რაიონში შედის, ხოლო სოფელი და იქ მდებარე ახალადდაარსებული მცირე მონასტერი და ეკლესია საეკლესიო დაყოფით, მარნეულ-ჰუჯაბის ეპარქიას ეკუთვნის. მიუხედავად ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობისა, ჰუჯაბის მონასტერი, 1921 წ-დან საზღვრების შეცვლის შედეგად,მისგან 22 (25) კმ-ის დაშორებით ლელვარის მთის გადაღმა, ალავერდის რაიონის ს. პრივოლნოეში მდებარე მართმადიდებელი სარწმუნოების წმ. ნიკოლოზის რუსულ ეკლესიაზე იყო მიწერილი. [2]

წერილობითი ისტორიული წყაროები უშუალოდ მონასტრის და მისი ეკლესიების შესახებ ძუნწია. ამ ეტაპზე, ერთადერთია 1742-1745 წწ. ვახუშტი (ბაგრატიონის) ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“,[3] რომელიც გვაუწყებს, რომ იმხანად, XVIIIს–ის დასაწყისიდან მონასტერი „დაცარიელებული“–მიტოვებული ყოფილა – „ამას ზევით არის მონასტერი ჰუჯაბისა, გუმბათიანი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერ არს“.[4] პირველი ისტორიული წყარო კი, რომელიც ს.ჰუჯაბს იხსენიებს არის 1721 წლის საქართველოს სტატისტიკური აღწერილობის წიგნი, საიდანაც ირკვევა, რომ ადრე დღევანდელი ს.ახკერპის ადგილას ყოფილა ორი ქართული სოფელი: „ხუჯაბი და ზემო ხუჯაბი“, რომელიც დედოფლის აზნაურებს, ელიარაშვილებს ეკუთვნოდათ.[5]

მონასტრის „დაკარგული“ ისტორია მისსავე სამშენებლო ფენებსა და მხატვრულ ფორმებშია ასახული. სამონასტრო კომპლექსის და მისი ტაძრების მხატვრულ-

---

[1] ხარაძე კ. ჰუჯაბი XX საუკუნის ტრაგედია, თბ., 2012;

[2] იქვე., გვ. 90–93; 96;

[3] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941. შესავალი, გვ. .XVII;

[4] იქვე, გვ..37;

[5] ვახუშტი ბატონიშვილი. „წიგნი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში: I, აღწერა მეწინავე დროშათა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი მეფე ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილის და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წ.“, გამოც. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, 1907. სოფელი ხუჯაბი, გვ. 244, 246, 247, სოფელი ზემო ხუჯაბი, გვ. 246, 247

სტილისტური ანალიზის მეთოდით შესწავლა და სხვადასხვა ჭრილში განხილვა – ისტორიული, ისტორიულ-გეოგრაფიული, ღვთისმეტყველებითი, ლიტურგიკული, პალეოგრაფიულ, გეოლოგიური და ა.შ... ინფორმაციულ სიმწირეს გვივსებს. ჩვენი კვლევის ინტერესი კომპლექსის ცენტრალური ნაგებობის ჯვარგუმბათოვანი ტაძრისთვის ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში ადგილის განსაზღვრაა, თუმცა 1921 წლიდან ტერიტორიების საბჭოური მეთოდებით გადანაწილებამ სხვა პრობლემაც წამოჭრა – სადავო გახდა ტაძრის ეროვნული სახე.

სომეხ და ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა წინაშე დღეს მთავარი ამოცანაა ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსის და მისი ტაძრების, ხოლო საკუთრივ ჩვენი ნაშრომისთვის, ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ეროვნული რაობის განსაზღვრა.

ლიტერატურული და საარქივო წერილობითი წყაროები გვიჩვენებენ, რომ დავა ამ საკითხის შესახებ, როგორც პრობლემა, თუ რომელ ეროვნულ ხუროთმოძღვრულ სკოლას უნდა განეკუთვნებოდეს ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვნი ტაძარი, XIX ს–ის ბოლოდან თანდათან იკიდებდა ფეხს სახელოვნებათმცოდნეო–სამეცნიერო ლიტერატურაში.[6] დღეს, ორივე მხარე, სომხური და ქართული, სამონასტრო კომპლექსს და მის მთავარ ტაძარს საკუთარი საეკლესიო ხუროთმოძღვრების ნიმუშად ორივე მხარის საეკლესიო ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილ ალბომებში, მათ შორის საერთაშორისო გამომცემლობებშიც შეგხვდებათ ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი, ხოლო ძირითადი განხილვის ცენტრს ჯვარგუმბათოვანი ტაძარი წარმოადგენს.[7] სომეხი მეცნიერები მონასტრის, და კერძოდ, მისი მთავარი ჯვარგუმბათოვანი ტაძრის კონფესიურ კუთვნილებას სადავოდ არ განიხილავენ, არამედ მიაჩნიათ, რომ ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი დიოფიზიტ სომეხთა სავანე იყო, მეტადრე XII-XIII ს–ის მიჯნაზე და XIII ს–ის პირველ ნახევარში, ამიტომ ისინი ტაძრის მხატვრულ–ესთეტიკურ და არქიტექტურულ–კონსტრუქციული მთელის ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისადმი მსგავსებას ბუნებრივად მიიჩნევენ და როგორც, ხუროთმოძღვრულ მთელს – ფრესკებითა და ქართული წარწერებით, სომხური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშად განიხილავენ.

იმის დადგენა და დაკვლევა, ამიერკავკასიის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების და ხელოვნების ორ დიდ ეროვნულ ხუროთმოძღვრულ სკოლათაგან, რომელს უნდა მიეწეროს განსახილველი ეკლესია, მრავალი პარალელური მასალის მოძიებასა და

---

[6] Baltrushaitis J. Etudes sur l'art Medieval en Georgie et en Armenie, Paris, Ernest Leroux, 1929. გვ.3 5;

[7] Mepisashvili R., Zinzadze W., Aufnahmen von Rolf Schrade, Georgien, Wehrbauten und Kirchen,Leipzig, 1986. გვ. 314,315; ილ. 459, 461; Donabedian P. "Parallelisme, convergences et divergences entre Armenie et Georgie en architecture et sculpture architecturale", Dans: L`Armenie et la Georgie en dialogue avec L`Europe du Moyen Age a nos jours, Paris, 2016. p.71, 76-77; Шахкян Г. Каменные страницы истории, Ереван, 1986. გვ. 134–136, გვ. 32, 16–18;

ორივე მხარის ხუროთმოძღვრებასთან მისი მიმართების განხილვას მოითხოვს; უნდა მოხდეს სამონასტრო კომპლექსის სივრცით–გეგმარებითი განხილვა, მისი ნაგებობების ტაძრებთან ერთობლივი შესწავლა და სამშენებლო ფენების განშრევებით მშენებლობის ეტაპების დადგენა–გამოკვლევა; ტაძრების, როგორც საეკლესიო ხუროთმოძღვრების არქიტექტურულ–ტიპოლოგიური კუთხით შესწავლა და მისი მხატვრულ–ესთეტიკური სახის დაწვრილებითი კვლევა. საკვლევად ავირჩიეთ სამონასტრო სივრცის ცენტრალური ჯვარგუმბათოვანი ტაძარი და გადავწყვიტეთ ნაშრომისთვის მონოგრაფიული ხასიათი მიგვეცა. წინამდებარე ნაშრომი ამ გზის მხოლოდ დასაწყისს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავიდანვე ჩვენს წინაშე იდგა ამოცანა, დაგვედგინა ამიერკავკასიის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ორი დიდი მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეროვნული ხუროთმოძღვრული სკოლიდან – სომხური და ქართული, რომელს უნდა მიეწეროს განსახილველი ეკლესია, ვისი ნახელავია იგი ქართველი, თუ სომეხი „არქიტექტორის“. ამასთან, აქვე აღვნიშნავთ თვისებას, რაც ორივე საეკლესიო ხუროთმოძღვრულ სკოლას ახასიათებს – არასოდეს ეკლესიის მშენებლობა არ ყოფილა რომელიმე ერთი ხუროთმოძღვრის ნებით გადასაწყვეტი, რაგინდ დიდად განსწავლული უნდა ყოფილიყო იგი ამ საქმეში. ამის შესახებ ჩვენ ტექსტში მრავალგზის აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მუდამ, და გასაკუთრებით ამ ორი შეძლებული და ძლიერი საუკუნის მანძილზე – XII და XIII სს–ში, როდესაც ქართული სამეფო კარი, მისი მოხელეები, დიდი ფეოდალები და შეძლებული ადგილობრივი მოსახლენი სამშენებლო ხელოვნების, კერძოდ კი საეკლესიო ხუროთმოძღვრების კარგად მცოდნე ხუროთმოძღვრებთან, და ასევე, ქვაზე მქანკებლობასა და ფრესკულ ფერწერულ–მხატვრობაში (აქვე, კერამიკული მომინანქრებული შორენკეცები და ა.შ.) გაწაფულ ოსტატებთან ერთად, ეკლესიასთან ყოველმხრივი თანხმობა–თანამოღვაწეობით აშენებდნენ ტაძრებს.

ტაძარი „ღვთისმეტყველებაა“ – მისი სამეტყველო ენა კი არქიტექტურული კონსტრუქციებია და კვეთილსახიანი დეკორატიული მხატვრული ფორმები, რომლებიც გარკვეულ სიმბოლოებს წარმოადგენენ და მათი წყობის წესში, ურთიერთმიმართებასა და კავშირებში სარწმუნოებრივი მრწამსი და ღვთისმსახურება(ლიტურგია) აისახება. ორივე ერის კულტურა არის სარმუნოებრივ მრწამსთან და ლიტურგიასთან ღრმადშეკავშირებული მთელი. რაღა თქმა უნდა რომ, მთავარი დამკვეთი და მამოძრავებელი ძალა ეკლესია იყო, ასევე იერარქიულად – ეკლესიის მესვეურები, ღვთისმეტყველნი, ბერ–მონაზვნები და სხვა...– ანუ, „მიწიერი მებრძოლი ეკლესია“. ისინი ტაძრის, როგორც ღვთივქმნილი „სამყაროს–კოსმოსის“ თანაშემოქმედების, ანუ ტაძართმშენებლობის რთულ და დიდ პროცესში თავადაც იყვნენ ჩართულნი და

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული გამოცდილება და ცოდნაც ჰქონდათ. ასეთი საკითხები შეუძლებელიც კი არის, რომ ვინმე „ერთის“ ნებაზე ყოფილიყო დამოკიდებული.[8] შესაბამისად, როცა ჩვენ ვამბობთ სკოლა, ვგულისხმობთ სწორედ ქვეყანაში მოქმედი რელიგიის–რწმენის ფარგლებში ისტორიულად განვითარებულ, ჩამოყალიბებულ და დამკვიდრებულ მხატვრულ–არქიტექტურულ ფორმებში ასახულ ეროვნულ თავისებურებებს, ეროვნულ ხასიათსა და განცდას, რომელიც თანადროულ ისტორიულ ვითარებაში ხელოვნების ნაწარმოებში აისახება. ნაშრომში საუბარია იმაზეც, რომ საეკლესიო მშენებლობა, და მეტადრე იმგვარი, როგორიც ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ტაძარია, დიდ ძალისხმევასა და საქმის ორგანიზებას საჭიროებდა, რომელსაც ცხადია სათავეში ვინმე ძლიერი მოხელე და ფეოდალი უნდა ჰყოლოდა, რაც ცხადია ასევე ვინმე ერთის ნებელობას გამორიცხავს.

ჩვენს მრავალწლიან ნაშრომს, მე წავუმძღვარე ჩემი მასწავლებლის და ყველა ეტაპზე ჩემი ხელმძღვანელის დიმიტრი თუმანიშვილის ჩემსავე სადიპლომო ნაშრომზე (1981 წ.) – „ჰუჯაბის ძეგლის ხუროთმოძღვრება“, რეცენზიიდან ამონაწერი:

„ხელოვნებათმცოდნეობის და, კერძოდ, ქართული ხელოვნებათმცოდეობის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხია, ამა თუ იმ ერის ხელოვნების დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებულისა და დამკვიდრებული თავისებური ნიშნების გამოვლენა... ხელოვნების ისტორიის წინსვლის კვალობაზე აშკარა გახდა, რომ ხელოვნების განვითარებაში მომხდარი ბევრი ცვლილება, მისი მთლიანი სწორი სურათი წარმოუდგენელია, თუ არ იქნა გათვალისწინებული სხვადასხვა ხალხის წვლილი, მისი გარკვევა კი თავის მხრივ სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ეროვნული რაობის წარმოჩენას მოითხოვს. იგივე მოთხოვნა შეიძლება ცალკეულ ძეგლსაც წავუყენოთ, რადგანაც მისი ბუნების შეუცნობლად ვერ მოხერხდება მისი ისტორიული ადგილის მოძებნა. ეს მეტადრე იმ ძეგლებზე ითქმის რომელნიც ისტორიულად ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობის მქონე მხარეებში კულტურათა ურთიერთგადაკვეთის ადგილებშია შექმნილი, ისეთ სანახებში, რომელთაც სხვადასხვა ერის შემოქმედების კვალი ამჩნევია.“

კვლევის დასაწყისში ჩვენ მიზნად დავისახეთ ხელოვნების ისტორიკოსთა ხელთ არსებული მხატვრულ–სტილისტური ანალიზის მეთოდით შეგვესწავლა ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია და სხვა ტაძრებთან შედარებების ფართო სპექტრის გამოყენებით უპირველესად დაგვეკვლია, რომელ ეპოქალურ მონაკვეთში შეიძლება

[8] თუმანიშვილი დ., ნაცვლიშვილი ნ., ხოშტარია დ. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2012. გვ. 61–151; თუმანიშვილი დ. კრებული „წერილები“ ნარკვევები“, თბ., 2001. ბასილი ზარზმელი ტაძართმშენებლობის შესახებ, p.40–56; ძველი ქართული მწერლობის ძეგლები V, ბასილი კესარიელის „სწავლათა“; ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ), თბ., 1983. გვ. 23;

იყოს ის აგებული, ანუ, რომელი ეპოქის ხასიათს წარმოგვიდგენს იგი; ან კიდევ, როგორ „ბმაშია“ მისი არქიტექტურულ–კონსტრუქციული და მხატვრულ–დეკორატიული გადაწყვეტები ქართული საეკლესიო ხუროთმოძღრების ზოგადი სურათის შემქნელ ტაძრებთან; რა არის ის რაც უშუალოდ, პირველივე შეხედვიდან მას უტყუარად აძლევს ქართული კულტურული ფენომენის სახეს; არის ეს მხოლოდ დიოფიზიტური ეკლესიისთვის დამახასიათებელი სამსახურებო–ლიტურგიკული ნიშნები?! მაგალითად, ისეთი როგორიცაა: საკურთხევლის აფსიდიდან, ჩრდილოეთით სამკვეთლოსკენ გაჭრილი კარი, უდაოდ მშენებლობის თანადროული; ან კიდევ, საკურთხევლის დაბალი, ერთსაფეხურიანი ამბიონი და მასთან ერთად, ასევე მშენებლობის დასაწყისიდანვე, საკურთხევლის აფსიდში დაბალ დონეზე გაჭრილი სამი სარკმელი; მათი დადაბლება ინტერიერის მხრიდან ცხადია ითვალისწინებს ამბიონის სიდაბლეს, რაც, ჩვეულებრივ ჩვენში XI ს–იდან დამკვიდრებული კონსტანტინოპოლური მართლმადიდებელი ღვთისმსახურების წესის – ლიტურგიის შესატყვისია. ეს ორი ნიშანი სრულიად უდავოს ხდის სატაძრო ნაგებობის დიოფიზიტური მსახურებისთვის გაწყობას მშენებლობის დასაწყისშივე.

• • •

ჰუჯაბის მონასტერი უშუალოდ ”ბოლნისის ხევში”, მდ. ფოლადაურის სათავეებთან მდებარეობს ლელვარის მთის ძირში, მისგან ჩრდილოეთით. ფოლადაური ამ მდინარის ძველი ქართული სახელია, სხვანაირად მის ხეობას „ბოლნისის ხევსაც“ უწოდებდნენ. მდ. ფოლადაურის ერთ–ერთი შენაკადის, „ჰუჯაბის წყლის“ მარჯვენა ნაპირზე, ტყეში, საგანგებოდ დატერასებულ კლდოვან ფერდზე ვრცელი მონასტერია განთავსებული. საუკუნეთა მანძილზე ხუროთმოძღვრებს მთის ფერდობის მიყოლებით სხვადასხვა დონეზე, ორ იარუსად გამოუკვეთავთ, თითქოსდა გამოუძერწავთ მოედნები და დაუვაკებიათ ისინი მონასტრის ცალკეული ნაგებობისთვის. სამონასტრო კომპლექსი ცხოველხატულად და მოხერხებულად არის ჩაწერილი გარემოში და შესისხლხორცებულია ბუნებას. დღეისათვის, ზედა იარუსზე ორი ეკლესიაა, ხოლო ქვედა იარუსზე მძლავრი გალავნის ნანგრევები მრგვალი კოშკით, ორსართულიანი სატრაპეზოთი და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობების ნაშთებით. ზედა იარუსზე ორი ეკლესია გვერდი-გვერდ, ერთმანეთისგან დაახლოებით 25 მ–ის დაშორებით არიან აღმართული. ჩრდილოეთით მდებარე ტაძრის დაზიანება–გადაკეთებებით გაუსახურებული სტრუქტურა დღევანდელი სახით შესაძლოა სამეკლესიან ბაზილიკას მივამსგავსოთ. ესაა, მოოქროსფრო–თეთრი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია, რომელსაც სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მინაშენები აქვს მიდგმული. მისგან სამხრეთით, სამონასტრო კომპლექსის ცენტრში, იისფერი–მოიასამნისფრო

ანდეზიტური ტუფის ქვის[9] კვადრებით მოპირკეთებული აგურით ნაგები დიდი ჯვარგუმბათოვანი ტაძარია აღმართული. მონასტრის ნაგებობების მშენებლობისთვის გამოყენებული ქვის მასალა სხვადასხვა საუკუნის სამშენებლო ფენებს წარმოგვიდგენს: გალავნისთვის და კომპლექსის სხვა ნაგებობებისთვის ძირითადად ნაკლებ დამუშავებული დიდი ზომის კლდოვანი ნატეხი ქვაა გამოყენებული, ასევე ვხვდებით მოზრდილ რიყის ქვას, რომლითაც უფრო მეტად სენაკებია აგებული, თუმცა ეს, ერთმანეთს „შეწყობილი"–შერეული, განსხვავებული რიტმის, ხასიათის და მასშტაბის წყობები, ნაგებობების არქიტექტურულ ტიპებთან ერთად (მაგ, მრგვალი კოშკი, გვიანი შუასაუკუნეების დამახასიათებელი არქიტექტურული ტიპია), შეკეთება–აღდგენების მრავალ, აშკარად სხვადასხვა დროის კვალს წარმოგვიდგენენ. დარბაზული ეკლესიის წყობაში სამშენებლო მასალა რამდენიმე სახისაა, რაც მის მშენებლობა–რესტავრირების ასევე მრავალ ეტაპს გვიჩვენებს. ძირითადი ჯიში არის ქვიშა ქვა. ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სამშენებლო პერიოდი მის ფასადებზე შირიმის ქვის კვადრებითაა წარმოდგენილი. შირიმის ქვის საბუდარი, აქედან მოშორებით, ზემოთ, „მგლის კარისკენ" მოიპოვება.[10] პირველი შთაბეჭდილება ჰუჯაბის სამონასტრო კომლექსიდან მიღებული,. მისი მოზრდილი გაბარიტების, მთავარი ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ფერადოვნებითაა განპირობებული. ეკლესია აგურითაა აგებული და მოპირკეთებულია იისფერი–მოიასამნისფერო ქვის კარგად გათლილი კვადრებით. კარ–სარკმლების ღიობების ირგვლივ და გუმბათზე ორნამენტული–რელიეფური სამკაული ძირითად იისფერ ქვასთან ერთად ოქროსფერ ქვიშა ქვაშია შესრულებული, რომელსაც ერთი–ორი მწვანე ფერის კვეთილსახიანი ქვები, გუმბათზე დაბლა, ბაზისთან შეუმჩნევლად აქვს შერეული. ტაძრის სამხრეთი მინაშენის საპირე ქვა კი მწვანე (ბაზისის საფეხურები ერთიანად...) და ოქროსფერი–ქვიშაქვის კვადრებით ყოფილა ნაგები, ცხადია ძირითად იისფერ ქვის კვარებთან ერთად. იისფერი ანდეზიტური ტუფი ადგილობრივია და კლდე, რომელზეც დაფუძნებულია ტაძარი სწორედ ამ ჯიშის ქვის საბუდარს წარმოადგენს, ხოლო ყვითელი და მწვანე ტუფი ტრანსპორტირებულია. ბოლნისის ხეობა ცნობილია სწორედ ამ სამი ფერის ტუფის ჯიშის ქვებით,[11] რომლებსაც საეკლესიო ხელოვნებაში ადრექრისტიანული ხანიდან აქტიურად იყენებდნენ: მაგ. V–VI სს. – ბოლნისის სიონი, ქვემო ბოლნისი, მანხუტის ქვედა ეკლესია, აკვანება(ინტერიერი), ვანათი (ე.წ. სამეკლესიანი ბაზილიკა) და სხვა; XII ს., XII–XIII სს–ის მიჯნა და XIII ს–ის პირველი მეოთხედი: „ბოლნისის ხევის", ანუ, მდ. ფოლადაურის ხეობის ბოლოში წუღრუღაშენის ტაძრის საფასადე წყობა ჰუჯაბის მსგავსად იგივე ჯიშის ქვის

[9] ხარაძე კ. ჰუჯაბი XX საუკუნის ტრაგედია, თბ., 2012. გვ..19–20;
[10] ბერძენიშვილი დ. ნარკვევები, თბ., 2005. ჰუჯაბი, გვ. 191;
[11] ხარაძე კ. ჰუჯაბი XX საუკუნის ტრაგედია, თბ., 2012. გვ. 19–20;

კვადრებით არის გაწყობილი, მხოლოდ ფერების სხვა თანაფარდობით – ტაძარი ოქროსფერი კვადრებითაა ნაგები და კარ–სარკმელთა ირგვლივ კვეთილ ჩუქურთმაში უმეტესად მწვანე ფერის ქვები ერევა, ხოლო ღვინისფერი–იასამნისფერი ქვა საპირე წყობაში ნაკლები ინტესივობით ერთვება; ამავე ჯიშის ქვებით სხვა სურათია შექმნილი ბოლნისთან ახლოს, ფიტარეთის ეკლესიის ფასადებზე. საფასადე წყობა აქაც ძირითადად მოვარდისფრო–იასამნისფერი ქვის კვადრებს წარმოადგენს, რომელსაც კარ–სარკმელთა ირგვლივ ოქროსფერი–ყვითელი ენაცვლება, ხოლო გუმბათზე, კარნიზის ძირში სარკმლების თაღნარს ზემოთ, სხვადასხვა ზომის მწვანე ორნამენტული ქვები, ღვინისფერ და ოქროსფერ ორნამენტულ ქვებთან ერთად მოზაიკურად „გათამაშებულნი“, ერთიან ფერად დეკორატიულ სარტყელს ქმნიან; ტაძრის სამხრეთის მინაშენის ბაზისის საფეხურები აქაც ჰუჯაბის მსგავსად, მწვანე ქვაშია შესრულებული; ერთიანად მწვანე ქვითაა ნაგები დმანისის ტაძარზე მიშენებული კარიბჭე და სხვა... ამგვარი, მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება...

კვლევამ გვიჩვენა, რომ ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის, და ზოგადად, სამონასტრო კომპლექსის სამშენებლო მასალა – ქვა, და მისი გამოყენების არქიტექტურულ-მხატვრული „წესი“ ამ რეგიონის, და კონკრეტულად, „ბოლნისის ხევის“, მდ. ფოლადაურის ხეობის სახასიათო ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ ადგილობრივი ხუროთმოძღვრები. ნაირფეროვნება[12] ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი სახასიათო თვისებაა, ხოლო ამ ტერიტორიაზე იგი თავისი ბუნებრივი რესურსების მონაცემების საფუძველზე რეგიონალური ხუროთმოძღვრული სკოლის სახასიათო სახედ ჩამოყალიბებული, XII და XIII სს-ის სატაძრო არქიტექტურაში განსაკუთრებულად ჟღერადი ფერადოვნებით წარმოჩნდა. ვფიქრობთ, უკვე მხოლოდ დასახელებული თვისებები და მოყვანილი პარალელები მკაფიოდ გვიჩვენებს ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის მემკვიდრეობით თვისებებს, როგორც ზოგადქართულ და ასევე, რეგიონალურ ჭრილში, თანაბრად, მისი მხატვრული მრავალფერადი სახე მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს XII და XIII სს-ის ადგილობრივ სამშენებლო კულტურასთან, ხოლო ფიტარეთთან მას ხაზგასმულად გამორჩეული სიახლოვეც კი აკავშირებს, რაც საერთო სახელოსნოსა, თუ მასწავლებელ-შეგირდის ურთიერთობებზე შეიძლება მიგვანიშნებდეს.

---

[12] თუმანიშვილი დ. კრებული „წერილები“ ნარკვევები“, თბ., 2001. ნაირფერადოვნების შესახებ V-XIII საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში, გვ. 90–100; აბაშიძე ქ. ფერის სიმბოლიკა ჰუჯაბის ტაძრის ხუროთმოძღვრებაში, თბ., 2002. გვ. 27–29, 66–67; აბაშიძე ქ. ჰუჯაბის ტაძრის მხატვრული სახის ერთი თავისებურება, ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია მიძღვნილი პროფესორ ლევან რჩეულიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1989. გვ.10,11;

• • •

ისტორიული ქვემო ქართლი, ძველად გუგარენად იწოდებოდა. სტრაბონის ცნობით, ძვ.წ. 191 წელს ის სხვა მხარეებთან ერთად სომხებს დაუპყრიათ. IV-VI სს–ში ეს მხარე პოლიტიკურად და საეკლესიო წესწყობილებითაც იბერიის სამეფოს საზღვრებში იყო მოქცეული; VI-IX სს–ში ამ მხარემ მრავალი გაჭირვება გამოიარა, რაც ძირითადად „არაბობის ხანას“ უკავშირდება. დამპყრობელთა მიერ ქვეყნის ერთიანობა დაიშალა; მათ დაპყრობილ ტერიტორიებზე საამიროები შექმნეს. შიდა და ქვემო ქართლი თბილისის საამიროში შედიოდა. როგორც ისტორიული წყაროებით არის ცნობილი, IX საუკუნის ბოლოს, გუარამ მამფალმა ქვემო ქართლის ერთი ტერიტორია – აბოცი, თავისს ცოლის ძმას, სომეხთა მეფეს უბოძა...[13] აქედან დაიწყო სომხეთის მონოფიზიტი მეფეების შემოჭრა ქვემო ქართლის სანახებში. ქართულ ისტორიულ წყაროებში XI-XIIსს–დან ქვემო ქართლის ამ ტერიტორიების აღმნიშვნელად, ტერმინი „სომხითი“ მკვიდრდება, საპირისპიროდ, თანადროულ სომხური წყაროებში იმავე ტერიტორიებს „ვრაც–დაშტს“– „ქართველთა ველს“ უწოდებენ. [14]

XIს–ის ბოლო მეოთხედში, თურქ-სელჯუკთა შემოსევის შედეგად ქვემო–ქართლში „სომხითი“, როგორც პოლიტიკური ერთეული უკვე აღარ არსებობდა, ისევე, როგორც სომხეთის სახელმწიფოებრიობა.[15] 1118-1123 წწ. დავით აღმაშენებელმა ეს მხარე – ქვემო

---

[13] ჯავახიშვილი ი. საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919. (IV თავი. სამხრეთის საზღვარი. ქვემო ქართლი, გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის, გვ.16–35), §1. გვ.16–20; ხარაძე კ. ჰუჯაბი XX საუკუნის ტრაგედია, თბ., 2012. ცოტა რამ წარსულიდან, გვ.39–47; ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვეთი I, თბ., 1979. ეთნიკური გეოგრაფია, გვ. 103–114; გვ. 103;

[14] ბერძენიშვილი დ. ნარკვევები, თბ., 2005. (აგარანის საკითხისათვის, გვ.157–190), გვ.179; ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვეთი I, თბ., 1979. (ტერიტორიულ–ადმინისტრაციული დანაწილება და პოლიტიკური გეოგრაფია.გვ. 42–101), გვ.57–58, 69; აბაშიძე ზ., ვაშაკიძე ვ., მირიანაშვილი ნ., ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2014. გვ. 68–71, გვ.82–83;

[15] აბაშიძე ზ., ვაშაკიძე ვ., მირიანაშვილი ნ., ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2014. გვ. 83; ჯავახიშვილი ი. საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919. (IV თავი. სამხრეთის საზღვარი. ქვემო ქართლი, გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის, გვ. 16–35), §2. გვ. 22–23;

ქართლი („სომხითი“, ლორე...) საბოლოოდ დაიბრუნა, და აქედან, ვიდრე 1921 წ-მდე, „სომხითი“ ე.ი. „ვრაც–დაშტი“–„ქართველთა ველი“, მუდამ საქართველოს ეკუთვნოდა.[16]

• • •

XI ს–ის დასაწყისიდან, მას მერე რაც დავით აღმაშენებლმა დედაქალაქი თბილისი დაიბრუნა, ქვეყნის პოლიტიკურმა ცენტრმა ქვემო ქართლისკენ გადმოინაცვლა... ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ჯალალედინი თბილისზე გამოლაშქრებისას „დაბანაკებულ იყო სომხითს, ქხევსა ბოლნისისასა“.[17] XIIIს–ის 20–იანი წლებიდან საქართველოში მონღოლთა დამანგრეველი შემოსევები დაიწყო, რასაც შემდეგ საუკუნეებში სხვადასხვა უცხოელ დამპყრობთა შემოსევები მოჰყვა და საქართველოს პოლიტიკური ძლიერების თანდათანობით დაცემა...

• • •

„ბოლნისის ხევს“, ანუ მდინარე ფოლადაურის ხეობას მიუყვებოდა გზა სომხეთთან მონაპირე რეგიონისკენ, ლორე–ტაშირისკენ. საქართველოდან სომხეთში, ქ.ანისისკენ მთავარი გზა დმანისზე გადიოდა. იგი ბევრად უფრო გრძელი, მაგრამ სამიმოსვლოდ უფრო მოსახერხებელი იყო. შესაბამისად, იგი საუკუნეების მანძილზე მთავარ საგარეო–სავაჭრო გზას წარმოადგენდა, ამდენად მოწესრიგებული და სათანადოდ დაცულიც იყო. საქართველოს დედაქალაქიდან–თბილისიდან სომხეთისკენ, ქ. ანისისკენ მიმავალი წოფი–სადახლოს გზა, ასევე ბევრად იოლი გასავლელი იყო, ვიდრე გზა „ბოლნისის ხევით“, ანუ, მდ. ფოლადაურის კალაპოტის გაყოლებით. ეს უკანასკნელი, რთული, ძნელად გასავლელი, მაგრამ მნიშვნელოვნად მოკლე და ბუნებრივად დაცული იყო, რადგან მთებითაა გარშემოტყმული და ჩაკეტილი. მდ. ფოლადაურის ხეობა დღესაც ძნელად მისაღწევია. წოფი–ოფრეთიდან ჰუჯაბისკენ და მდ. ფოლადაურის ხეობისკენ გზა დღესაც კლდეებზე ჩამოდის და რთულად სავალია. ხოლო ბოლნისიდან მიმავალნი, მდ. ფოლადაურის ხეობას თუ ს. ჰუჯაბიდან (ს.ახკერპი) ზემოთ ავუყვებით, გზა ფოლადაურის მარცხენა ნაპირის აყოლებით ადის ლელვარის მთაზე, სადაც კლდეში გაჭრილი ისტორიული კლდეკარია – „მგლის კარი“, რომელიც „გასასვლელია“ სხვა

[16] ჯავახიშვილი ი. საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919. (IV თავი. სამხრეთის საზღვარი. ქვემო ქართლი, გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის, გვ. 16–3 5), §3–§8. გვ.23–35;

[17] ქართლის ცხოვრება II. (ყაუხჩიშვილის რედ.), თბ., 1959. გვ..183;

გეოგრაფიულ სივრცეში, კერძოდ, გადადის ლორეში(ლორე–ტაშირი), სომხეთთან მონაპირე რეგიონში.[18]

ვფიქრობთ, სრულიად ნათელია ამ ხეობის განსაკუთრებული სტრატეგიული როლი და მნიშვნელობა დამოუკიდებელი ქვეყნის თავდაცვისთვის. სწორედ ამ გზის პოლიტიკური მნიშვნელობის გამო, მდ. ფოლადაურის ხეობა, ანუ „ბოლნისის ხევი“ მუდამ სამეფო სამფლობელოს წარმოადგენდა.[19] ჰუჯაბის მონასტერი ამ მნიშვნელოვანი „სამეფო“ ხეობის საწყისსთან მდებარეობს, ქვეყნის ერთერთი სტრატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვანი პუქტის – კლდეკარის (გვიანდელი სახელწოდებით „მგლის კარი“) გეოგრაფიულ სივრცეში, მისგან დაახლოებით 13 კმ–ის დაშორებით. კლდეკარი საკმაოდ მოზრდილი ყოფილა (დაახლ. 80 მ–ის სიგრძის).[20] იგი ბუნებრივ „კართან“ ერთად, კლდეში ხელით ნაკვეთ გასასვლელსაც შეიცავს. ისტორიკოს დ. ბერძენიშვილის კვლევით ის ადრექრისტიანული ხანიდან გვიანშუასაუკუნეების ჩათვლით ფუნქციონირებდა, მას იყენებდნენ XIX ს–შიც და დღესაც, სასაზღვრო-გამშვები პუნქტი აქ არის მოწყობილი. ლორედან თბილისისკენ ამ მხრიდან მომავალ გზაზე, „მგლის კარი“ ფაქტობრივად ბოლო „კარი“ იყო და როგორც სიგელ–გუჯრებიდანაც ჩანს, გვიან შუასაუკუნეებში აქ საბაჟოც ყოფილა... [21]

„ბოლნისის ხევის“ ასეთი გეოგრაფიული მდებარეობა ამ სივრცეში მიმდინარე მოვლენების დიდი სისწრაფით ცვლილებებს განაპირობებდა, რაც მისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებებსაც იწვევდა. სხვადასხვა პერიოდში ქართველების გვერდით ხეობაში ცხოვრობდნენ – გაქართველებული–ქალკედონიტი სომხები, მონოფიზიტი სომხები და გასომხებული–მონოფიზიტი ქართველები. განსაკუთრებით გაუკაცრიელებულა ეს ტერიტორია თემურ–ლენგის დამარბეველ შემოსავათა შემდეგ. ისტორიკოსთა კვლევით, მიმდინარე პოლიტიკური ვითარებებიდან გამომდინარე აქ, XVს–დან სომხური მოსახლეობის მატება აქტიურდება. მოსახლეობის სიჭრელის ნათელი მაუწყებელია სოფლის დღევანდელი სახელი "ახკერპი“, რომელიც თურქული სიტყვაა და „თეთრ ხიდს“ ნიშნავს.[22] ამ სოფელში ეს ხიდი მდ.

---

[18] ბერძენიშვილი დ. ნარკვევები, თბ., 2005. ჰუჯაბი, გვ.191–193; მუსხელიშვილი ლ., ენიმკის მოამბე, „ბოლნისი“, III ტ., 1938. გვ. 315; აბაშიძე ზ., ვაშაკიძე ვ., მირიანაშვილი ნ., ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2014. გვ.17;

[19] იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, 1986. p.56; ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვეთი I, თბ., 1979. გვ.46; 51; 81; მუსხელიშვილი ლ. დმანისი, კრებული, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938. გვ. 331; ბერძენიშვილი დ. ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის კრებული, სიგკ. II, თბ.,1964. გვ. 39;

[20] ბერძენიშვილი დ. ნარკვევები, თბ., 2005. ჰუჯაბი, გვ. 192;

[21] იქვე, გვ.193–195;

[22] მუსხელიშვილი ლ. ენიმკის მოამბე, „ბოლნისი“, III ტ., 1938. გვ. 314;

„ფოლადაურზე“ დღესაც არსებობს. მკვლევართა აზრით იგი ამავე ხეობაში არსებული თურქული დასახელების მსგავს ხიდებთან ერთად – მაგ; „იდკერპი“–„ძაღლის ხიდი“, ან, „გოჩულუს ხიდი“, რომელსაც წარწერაც აქვს – 1651 წ., – XVII ს–ეს განეკუთვნება, რაც ამ დროს ჰუჯაბის ტერიტორიაზე თურქი მოსახლეობის არსებობაზე მიგვითითებს. რაკი–ღა სახელი დღემდე შემორჩა ამ სოფელს, გვაფიქრებინებს, რომ ეს მოსახლეობა ამ ხეობაში დიდხანს დარჩენილა. XVIII ს–ის 40–იან წწ–ში სომხითის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აქ მცხოვრები სომხები “ზნითა და ქცევითა“ ქართველნი იყვნენო.[23] მიუხედავად გვიანშუასაუკუნეებში აქ მიმდინარე რთული ისტორიული მოვლენებისა, რის შედეგადაც ქართული მოსახლეობის რაოდენობა პერიოდულად იკლებდა, ეს მხარე მუდამ ქართველ მეფეთა დომენს წარმოადგენდა, და ცხადია, რომ ისინი ლელვარის მთაზე კლდეკარს აკონტროლებდნენ. 1721წ. სტატისტიკური აღწერილობის წიგნში, დედოფლის აზნაურების ელიარაშვილების კუთვნილ სოფლებში – „ხუჯაბი“ და „ზემო ხუჯაბი“, ჩამოთვლილი გვარებიდან ნაწილი შეიძლება სომხური წარმომავლობისაც იყოს, მხოლოდ ქართული დაბოლოებებით – „შვილი“.[24] ეს გვარები ს. ახკერპში დღეს აღარ გვხვდება. ახლანდელი მოსახლეები, რუსული პოლიტიკის შესაბამისად დაცარიელებულ სოფელში 1830–იან წლებში ყარაბაღიდან არიან გადმოსახლებული. საარქივო დოკუმენტებით, XIX და XXსს–ის დასაწყისში ჰუჯაბის სანახები, ვიდრე დამოუკიდებლობის დაკარგვამდე და გასაბჭოებამდე თავად მელიქიშვილებს ეკუთვნოდათ.[25]

სახელი ჰუჯაბის შესახებ არსებობს რამდენიმე ვერსია. სომხურად „ხუჭაპ“[26] სწრაფს და აურზაურს ნიშნავს, ხოლო არაბულად სიტყვა ჰუჯაბი – ეჯიბის მრავლობით ფორმას წარმოადგენს, ეს უკანასკნელი კი, მეფის კარის მცველს („მეკარე“, მეკარეთ–უხუცესი“, „ცერემონიმაისტერი“...[27] და მის მაგივრად მოლაპარაკეს ნიშნავს.[28] ამგგვარად, სიტყვა – ეჯიბი, და არც სამეფო კარზე „თანამდებობა“ ეჯიბი–მეკარეთ–უხუცესი, საქართველოსთვის უცხო არ იყო და იგი საუკუნეების სიღრმეებში მიდის.[29] ვახუშტი (ბაგრატიონი) ბატონიშვილის მიერ საქართველოს გეოგრაფიაში ნახსენები მონასტრის

---

[23] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941. გვ. 37;

[24] ვახუშტი ბატონიშვილი. „წიგნი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში: I, აღწერა მეწინავე დროშათა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი მეფე ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილის და გივი თუმანიშვილის მიერ 1721წ.“, გამოც. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, 1907. გვ. 244, 246, 247;

[25] ხარაძე კ. ჰუჯაბი XX საუკუნის ტრაგედია, თბ., 2012. გვ.43–62;

[26] იქვე, გვ.223-224;

[27] ქართლის ცხოვრება I. (ყაუხჩიშვილის რედ.), თბ., 1955. გვ. 439; ქართლის ცხოვრება II. (ყაუხჩიშვილის რედ.), თბ., 1959.გვ.363;

[28] სულხან–საბა ორბელიანი...I; ლექსიკონი ქართული I, თბ., 1991. p.251;

[29] ქართლის ცხოვრება I. (ყაუხჩიშვილის რედ.), თბ., 1955. გვ. 439, ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 186, 189;

სახელი – „ჰუჯაბი“ და 1721 წლის სტატისტიკური აღწერილობაში დაფიქსირებული სოფლის სახელი –„ხუჯაბი“ – სიტყვის „ჰუჯაბის“ მნიშვნელობიდან გამომდინარე სოფლისთვისაც და მონასტრისთვისაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიული რეალობის ამსახველი ჩანს.

გამოდის, რომ, თუ ჰუჯაბი სიტყვა ეჯიბის მრავლობითი ფორმაა ქართულად ის მეკარეებს,[30] ანუ კარის მცველებს ნიშნავს, რაც ვფიქრობთ, სწორედ იმ სათავდაცვო ლაშქარს უნდა გულისხმოდებს, აქ, „მგლის კარის“ უღელტეხილთან რომ ეყოლობოდა ქვეყანას და მეფეს. მართლაც, ძნელია წარმოიდგინო, რომ ამ მონაპირე–სასაზღვრო რეგიონისკენ მიმავალ მნიშვნელოვან გზაზე და ასეთ მნიშვნელოვან კლდეკართან – მოგვიანებით „მგლის კარად“ წოდებულ ბჭესთან, ისეთ ძლიერ ქვეყანას, როგორიც საქართველო XII ს–სა და XII–XIII სს–ის მიჯნაზე იყო, საგანგებო საჯარისო–თავდაცვითი ფორმირებები არ ჰყოლოდა. უნდა ვივარაუდოთ რომ, აქ „მგლის კარის“ მცველნი, მეკარენიც, ანუ არაბულად – ჰუჯაბი (მხ. ეჯიბი), იქნებოდნენ. სოფლის სახელი ჰუჯაბიც მის მოსახლეთა მოვალეობა–დანიშნულების შესახებ უნდა მიგვანიშნებდეს.

სამონასტრო კომპლექსის ადგილმდებარეობის მნიშვნელობა, მისი ნაგებობების სიმრავლე და მასშტაბურობა, ვრცელი არქიტექტურული კომპლექსის სივრცითი დაგეგმარების ხასიათი ერთ ძველ ხელნაწერის შინაარსთან მიმართებაში განხილვისას საინტერესო სურათს ქმნის. საუბარია, თამარ მეფის დროინდელ ერთ–ერთი მონასტრის ტიპიკონზე.[31] იმ დროს ივანე მხარგრძელი „ჯერ კიდევ“ მსახურთუხუცესი იყო. იგი ამ ხელნაწერში მოხსენებულია „ღვთის სწორ“ მეფეებთან ერთად. ხელნაწერზე მინაწერის თანახმად, ეს ისტორიული დოკუმენტი თავად მელიქიშვილების კუთვნილ მამულებში უპოვია ერთ–ერთ მეპატრონეს, რომელიღაც მონასტრის ქვემოთ, ხევში ჩავარდნილი და ძლიერ დაზიანებული (ტექსტი არასრულია. მონასტრის სახელი არ იკითხება).[32] აღვნიშნავ, რომ XIX-XX სს-ის მიჯნაზე, ვიდრე საქართველოს გასაბჭოებამდე ჰუჯაბის ტყე და მის წიაღში მდებარე სამონასტრო კომპლექსი, ბორჩალოში მცხოვრებ მელიქიშვილებს ეკუთვნოდათ, ხოლო 1905 წლიდან აქ აღდგა სამონასტრო ცხოვრებაც.[33] ტექსტში საუბარია ბოლნისთან ახლო მდებარე მონასტერზე, რომელიც ხევს გადაჰყურებს – ვარაუდობენ, რომ ახტალაა, ან, წუღრუღაშენი, ან, ბოლნისი... ვფიქრობთ, მონასტრის განგების (ტიპიკონის) შინაარსი, თანაბრადვე ჰუჯაბის მონასტერზეც შეიძლება გავავრცელოთ, ისევე როგორც ამ სივრცეში მდებარე სხვა მონასტრებზეც.

---

[30] ბერძენიშვილი დ. ნარკვევები, თბ., 2005. ჰუჯაბი, გვ.194; მუსხელიშვილი ლ. ენიმკის მოამბე, „ბოლნისი“, III ტ., 1938. გვ. 384;

[31] კაკაბაძე ს. მეფის თამარის დროინდელი ერთი მონასტრის ტიპიკონის ნაწყვეტი, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წიგნი I, თბ., 1914. გვ.72–73;

[32] იქვე, გვ. 71–75;

[33] ხარაძე კ. ჰუჯაბი XX საუკუნის ტრაგედია, თბ., 2012. გვ. 49 - 56;

ტიპიკონი თარიღდება 1191–1212 წწ-ით.[34] მასში მოხსენებული არიან „ღვთის სწორი მეფეები“ ოჯახით და ივანე მხარგრძელი; ტექსტში ნათქვამია, რომ სამეფო ოჯახი(!) – ლაშქრით და “დიდთა და მცირე“ სტუმრებთან ერთად (ასევე მწირნიც) მონასტერს ხშირად სტუმრობდა. მონასტერი მნიშვნელოვან გზასთან ყოფილა და უნდა დიდი ყოფილიყო ამდენი მიმსვლელი რომ ეტვირთა... ცხადია, ამგვარად მნიშვნელოვანი – „სამეფო“ გზის სიახლოვეს ბოლნისთან ახლოს, სხვა ზემოთდასახელებულ ტაძრებთან ერთად ჰუჯაბიც უნდა ვიგულისხმოთ... და, რომ ამ გზაზე მიმავალნი – მართლამდიდებელი ქვეყნის ასევე მართლმადიდებელი მეფენი და მათი სახელმწიფო მოხელენი, ლაშქარი... გვერდს არ აუვლიდნენ ისეთ დიდი და მნიშვნელოვან მონასტერს, როგორიც ჰუჯაბია. თუ ლელვარის მთის უღელტეხილზე ისტორიული კლდეკარი ქვეყნის ფიზიკურ კარს წარმოადგენდა, მის სიახლოვეს ჰუჯაბის მონასტერი ამ სივრცის სულიერ „კლდე–კარად“ წარმოგვიდგება. სწორედ ეს „გზა“ – მნიშვნელოვანი მაგისტრალი, მუდამ და უპირობოდ სამეფო დომენად ქმნიდა “ბოლნისის ხევს”–მდ. ფოლადაურის ხეობას.

ჩვენ ვერ დავადასტურებთ, რომ ხსენებული ტიპიკონი უცილობლად ჰუჯაბისთვის იყო დაწერილი. მნიშვნელოვანია, რომ იგი ამ სივრცეში არსებულ ტაძარ-მონასტრებს ერთიანად შეიძლება მივაკუთვნოთ, რადგან ისინი „მესიის მახვილად“ წოდებულ “ღვთის სწორი” მეფეების პერიოდში ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, რასაც გეოგრაფიულ–ისტორიულ გზებთან ერთად, მათი არქიტექტურულ-კონსტრუქციული, თუ მხატვრულ-ესთეტიკური მსგავსება გვიდასტურებს. ჩამოვთვლით ოდენ, ამგვარი მსგავსებით “დაღდასმულ” ბოლნისთან ახლოს მდებარე ტაძრებს: ა) ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრები – კოჯრის კაბენი, ფიტარეთი, წუღრუღაშენი, ჰუჯაბი, მოშორებით ახტალა, ჰნე-ვანქი (გუმბათი 1154 წ.). და სხვა; ბ)დარბაზული - კოჯრის კაბენი, თედორეწმიდა, კაზრეთი, წერაქვი...; გ)ბოლნისიდან მოშორებით – გუდარეხი, “ლამაზი საყდარი”, ბეთანია, ლურჯი მონასტერი“... ქვათახევი, ქართლის მეტეხი, ერთაწმინდა, იკორთა და სხვა. ესაა იმ ეკლესიების მცირე ჩამონათვალი, რომლებთანაც ჰუჯაბის ტაძარი და მისი ირგვლივ მონასტრის კომპლექსის დაგეგმარებისა თუ მშენებლობის ხასიათი სხვადასხვა კუთხითა და ასპექტით განუყოფელ მსგავსებას ამჟღავნებს.

• • •

ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია საგანგებოდ მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში სხვადასხვა მკვლევართა მიერ ის

[34] ბერძენიშვილი დ. ნარკვევები, თბ., 2005, გვ. 202;

ხშირად მოხმობილია, როგორც პარალელი მთელი რიგი ტაძრებისა და შესაბამისად აზრი მისი რაობის და საამშენებლო თარიღის შესახებ გარკვეულად გამოკვეთილია.

სახელოვნებათმოცდნეო ლიტერატურაში ეს ძეგლი პირველად ი. ბალტრუშაიტისის ნაშრომში გამოჩნდა – Jurgis Baltrushaitis. "Etudes sur l'art Medieval en Georgie et en armenie" და დასახელებული იყო, როგორც სომხური არქიტექტურის ნიმუში.[35] ამ ნაშრომის კრიტიკა ვ.ბერიძემ „ქართულ ხელოვნებაში" - „ARS GEORGICA" II ტ. მოთავსებულ წერილში მოგვცა, სადაც ჰუჯაბსაც იხსენიებს.[36] ვ.ბერიძის წიგნში - „Некоторые аспекты грузинской купольной архитектуры"[37] – X-XIII სს-ის ძეგლთა ქრონოლოგიურ სიაში, ჰუჯაბი XIII ს. პირველი ნახევრის ან შუა პერიოდის ძეგლად არის მოხსენებული. გ.ჩუბინაშვილს იგი რამდენიმეჯერ აქვს მოხსენებული გამოკვლევაში „Архитектура Кахетии". აქ იგი ფუძნარის ძეგლის განხილვისას პარალელადაა მოყვანილი;[38] წერილში „К вопросу о национальной форме в архитектуре прошлого" ფიტარეთი, ბეთანია, ქვათახევი, ახტალა და ჰუჯაბი – დასახელებულია, როგორც ერთი ჯგუფის ძეგლები;[39] რენე შმერლინგს აქვს გამოკვლევა XII-XIII სს. ძეგლების შესახებ, სადაც ჰუჯაბიც არის განხილული. იგი ხელნაწერის სახითაა და ჯერ-ჯერობით გამოუქვეყნებელია...

სომხური წარმოშობის ფრანგი მკვლევარი პატრიკ დონაბედიანი ჰუჯაბის ტაძარს ქართულ ძეგლად მიიჩნევს და თავის მეტად მნიშვნელოვან და ვრცელ ნაშრომში, რომელიც ქართული და სომხური ტაძრების შედარებებს, მსგავსებებს და განსხვავებებს ეძღვნება წერს – „რაც შეეხება ჰუჯაბის ეკლესიას, ის, როგორც ჩანს უფრო მეტად თავის ადგილს წმინდა ქართული ძეგლების ჯგუფში პოულობს. (ქ.ა.).[40]

ახლახანს გამოქვეყნდა, ნელი ჩაკვეტაძის კვლევა ჰუჯაბის ფრესკული მხატვრობის შესახებ. ქტიტორს რომელიც აქ არის წარმოდგენილი ის თავის მხრივ მიიჩნევს მეფე ლაშა–გიორგი IV–ედ. ჩვენი კვლევა ამ მოსაზრებას იზიარებს...[41]

ასევე უნდა აღვნიშნო საგანგებო შრომა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის კობა ხარაძის „ჰუჯაბი – XXსაუკუნის ტრაგედია", რომელშიც საარქივო დოკუმენტებზე

---

[35] Baltrushaitis J. Etudes sur l'art Medieval en Georgie et en Armenie, Paris, Ernest Leroux, 1929. გვ.3 5;

[36] ბერიძე ვ. „ქართულ ხელოვნება – ARS GEORGICA", IIტ., თბ., 1948. გვ.147–160;

[37] Беридзе В. Некоторые аспекты грузинской купольной архитектуры,Тб., 1976. გვ.72;

[38] Чубинашвили Г.Н. Архитектура Кахетии, (ტექსტი), Тб.,1959. გვ. 424;

[39] Чубинашвили Г.Н. Вопросы истории искусства, т. I, Тб., 1970. К вопросу о национальной форме в архитектуре прошлого, გვ. 290.

[40] Donabedian P. "Parallelisme, convergences et divergences entre Armenie et Georgie en architecture et sculpture architecturale", Dans: L`Armenie et la Georgie en dialogue avec L`Europe du Moyen Age a nos jours, Paris, 2016. p.71;

[41] ჩაკვეტაძე ნ. XII-XIII საუკუნეების მიჯნის სამეფისკარო მოხატულობები სამხრეთ საქართველოში, ჰუჯაბის ეკლესიის ფრესკები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი, კონფერენცია, ძველი და თანამედროვე ხელოვნება, ახალი ხედვა, 2015.;

დაყრდნობით ისტორიულ ჭრილში ვიდრე დღევანდელ დღემდე დაწვრილებით განხილულია ჰუჯაბის მონასტრის „ბედი“... [42]

• • •

პერიოდი, რომელსაც ჰუჯაბის ძეგლის აშენების ხანა განეკუთვნება, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების განვითარებაში ერთ–ერთი დიდი და მნიშვნელოვანია – X-XIIIსაუკუნეები ქართული ხუროთმოძღვრების მეორედ აყვავების ხანაა.[43] მხატვრულ–არქიტექტურული ნიშან–თვისებებით ამ პერიოდის ხუროთმოძღვრების სტილი ხასიათდება, როგორც „ბაროკალური“, ან, ცხოველხატულ–დეკორატიული.[44] XIIს–ში და XIIIსს–ის პირველ ნახევარში შენდება ტაძრები, რომლებიც განვითარების ამ გზას აგრძელებენ, თუმცა წინა პერიოდისთვის დამახასიათებელი არქიტექტურულ–კონსტრუქციული ძიებების მრავალფეროვნება აღარ ახასიათებთ. ჯვარგუმბათოვანი ტაძრის წამყვანი არქიტექტურული ტიპი გეგმის მიხედვით სწორკუთხედში „ჩახაზული“ ჯვარია, სადაც გუმბათი საკურთხევლის შვერილებსა და დასავლეთის ორ, უმეტესად რვაწახნაგა, თავისუფლად მდგომ სვეტს ებჯინება; საკურთხეველი სამნაწილიანია და შესატყვისად აღმოსავლეთის ფასადზე ორი სამკუთხა ნიშა აქვთ. ამ არქიტექტურულმა კომპოზიციამ განვითარება და ჩამოყალიბება X–XI საუკუნეებიდან – სამთავისისა და მცხეთის სამთავროს საეპისკოპოსო ეკლესიებიდან დაიწყო, XII საუკუნის დასაწყისიდან კი კანონიკური გახდა. XII ს–ის შემდეგ, ამ სქემის მიხედვითაა აგებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გუმბათოვანი ტაძარი. ისინი მხატვრული გაფორმებით, მშენებლობის ხასიათით და სხვა ნიშნებით აგრეთვე მსგავსნი არიან და სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში „ბეთანია-ქვათახევის“ ჯგუფად იწოდებიან. ესენია: იკორთა, ქვათახევი, ბეთანია, წუღრუღაშენი, ფიტარეთი, ლურჯი მონასტერი, ახტალა და სხვა.

ეს მსგავსებებია: **ა)**არქიტექტურული ტიპი – სწორკუთხედში „ჩახაზული ჯვრის“ ტიპი. (იხ. ზემოთ); ამ ტიპის ტაძრებს სომხეთში არ აშენებენ; **ბ)** სამშენებლო ტექნიკა: ჰუჯაბის ტაძარი აგებულია აგურით და ფასადები თლილი ქვის კვადრებით არის მოპირკეთებელი. ეს ტექნიკური ხერხი აერთიანებს ხუროთმოძღრების ორ სამშენებლო ტრადიციას, რომლებიც საქართველოში ადრეული შუა საუკუნეებიდანვე გვხვდება. XII–XIIIსს–ში ჯვარგუბათოვანი ტაძრები შენდება ერთის მხრივ, მხოლოდ აგურით –

---

[42] ხარაძე კ. ჰუჯაბი XX საუკუნის ტრაგედია, თბ., 2012.;

[43] ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974. გვ. 17;

[44] Чубинашвили Г.Н. Вопросы истории искусства, т. I, Тб., 1970. Кумурдо и Никорцминда, как пример разных этапов развития Бароккального стиля в грузинском искусстве, გვ. 236–261 (გვ.250...); (Грузинская средневековая архитектура и три ее величайших кафедрала, (1925), გვ. 262–278;

შიომღვიმის მონასტრის ღმრთისმშობლის დავით აღმაშენებლისეული „ყოვლად წმიდისა ღმრთის–მშობელისა“ დიდი ჯვარგუმბათოვანი ეკლესია (ამჟამად, ბაზილიკად გადაკეთებული), XII–XIIIსს–ის მიჯნის და დასაწყისის ყინცუისი და ტიმოთესუბანი... სხვა მხრივ, კი გავრცელებულია ქვით, ან აგურით ნაგები ტაძრები, რომლებიც გარედან, კარგად თლილი ქვის კვადრებითაა მოპირკეთებული: თიღვა(აგური), იკორთა(აგური), ქვათახევი, ბეთანია(აგური), კოჯრის კაბენი და ყანჩაეთის კაბენი, ფიტარეთი, თბილისის მეტეხი(აგური), ლურჯი მონასტერი(აგური), კარდანახის ყველაწმიდა (აგური) და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მათგანი წინა საუკუნეებში აგებული ნაგებობაა გადაკეთებული და მოპირკეთებული. აგურით მშენებლობას ჩვენში გაცილებით ღრმა ტრადიცია აქვს – გურჯაანის ყველაწმინდა (VIII-IX სს.), ოზაანის ამაღლება (IX ს.), სანაგირე (IX– X სს.) და სხვა... **გ)** მხატვრული გაფორმების ხასიათი - ტაძრები უხვად არის დეკორირებული კვეთილი ორნამენტული სახეებით – სრულადაა მოჩუქურთმებული გუმბათი, ხოლო ფასადებზე ჩუქურთმა მხოლოდ კარ-სარკმელების ღიობების ირგვლივაა თავმოყრილი. წინა საუკუნეების ჯვარგუმბათოვანი ეკლესიებისგან განსხვავებით ფასადების მამკობი უწყვეტი თაღედი, ეკლესიის ირგვლივ აღარ გამოიყენება. შესაბამისად, გვერდითი სადგომების საფასადე კედლები ძირითადად დეკორისგან ცარიელ სიბრტყეებს წარმოადგენენ; **დ)**დეკორატიული–მხატვრული გაფორმების სისტემა: შემუშავებულია დეკორის განაწილების ზოგადი პრინციპი – ტაძრის ჯვრული კორპუსის ქვედა ნაწილი, გვერდითი სადგომების სიმაღლეზე თავშეკავებულად, დიდი „შიშველი“ პაუზებითაა წარმოდგენილი, იშვიათი დეკორაციული, ორნამენტული ჩანართებით აქა–იქ მცირე სარკმლების ირგვლივ; ჟღერადი დეკორატიული მახვილი ტაძრის კარის ღიობის გარშემო კეთდება, რომლებიც უმეტესად, ასეთივე უხვად შემკული კარიბჭეებით არიან დაფარული. უხვი დეკორატიული გაფორმებისგან ეს თითქოსდა შეკავებული ენერგია, ზემოთ ზამბარასავით გაიშლება თავდაპირველად ჯერ ფრონტონების (ჯვრის მკლავების) ორნამენტულ–დეკორატიულ მორთულობაში და მძლავრ დეკორატიულ ფორმებად იფეთქებს შეწყვილებულ სარკმლებს შორის აღმართული გოლგოთის ჯვრის კომპოზიციის სახით. ეს, სხვადასხვა კაზმული ელემენტებით (გირჩები, ვარდულები...) უხვად შემკული კომპოზიცია ავსებს ფრონტონის არეს, თითქოს ვერ ეტევა და გოლგოთის ჯვრის მკლავით უშუალოდ მიბჯენილი ფრონტონის კეხზე, მის „გარღვევას ლამობს“ (ბეთანია, ქვათახევი...) ხოლო შემდეგ, ეს „ენერგია“ გუმბათზე მთლიანი ძალით „ამოიფრქვევა“ და დეკორატიულ თაღნარში ჩასმულ–„ჩაქსოვილი“ ორნამენტული სამკაულებით ერთიანად შემოევლება გუმბათის ყელსა და კარნიზებს, არ ტოვებს რა არც ერთ თავისუფალ, ცარიელ ადგილს. ამგვარად, ტაძრის ქვედა ნაწილის „თავშეკავებულობა“ და უბრალოება, გუმბათზე ენერგიული მოძრაობით

იცვლება.[45] ამ სქემამ, რომელიც საერთოა დასახელებული პერიოდის ტაძრებისთვის, გარკვეული ევოლუცია განიცადა. თუ ადრეულნი აქტიურად წარმოაჩენენ ამ ენეგიულ დაძაბულობის იმპულს, ბოლოში მოქცეულ ტაძრებში ეს ოდნავ განელებულია, თუმცა ხასიათი და განწყობა–ემოციას არ ცვლის. **ე)** პოლიქრომია: ტაძართა საპირე წყობაში და დეკორატიულ გაფორმებაში ძირითადად ორი ან სამი ფერის ქვა გამოიყენება. (იხ. ზევით). **ვ)** ყველა ეს ჯვარგუმბათოვანი ტაძრები მოზრდილი მონასტრული სივრცის მთავარი ეკლესიებია. წინა პერიოდის დიდი საეპისკოპოსო ტაძრებისგან განსხვავებით, ისინი მოკრძალებული ზომისანი არიან და უმეტესად, განმარტოებით ტყეში დგანან, თუმცა ტყის „დედოფლებივით“ უხვად შემკულნი, მოვარაყებულ–მოქარგული კვეთილსახიანი, ფერადი ორნამენტებით და პროფილებით... მათ ჩვენ „სამეფისკარონი“ (ტერმინი დ. თუმანიშვილისეულია) ვუწოდეთ.

ეს თვისებები თანაბრად ვრცელდებოდა ამ ხანის სხვა არქიტექტურული ტიპის (როგორც საეკლესიო-დარბაზული, ასევე საერო) ნაგებობებზეც. „ბეთანია-ქვათახევის“ ჯგუფის ეკლესიები ფაქტობრივად ამთავრებენ კიდეც ქართული ხუროთმოძღვრების ამ ხანას.[46]

XII ს–ში და XIII სს–ის პირველ ნახევარის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ამ წამყვანი არქიტექტურული ტიპის ერთ–ერთ–ერთი ტიპიური ტაძარია ჰუჯაბის ეკლესიაც.

• • •

XIII-XIVსს–ის მიჯნაზე ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციურ ხაზში გამოიკვეთა ტაძრების კიდევ ერთი ჯგუფი, რომლებიც ამავე ცხოველხატულ–დეკორატიული სტილის ფარგლებში ასევე ატარებენ მსგავს ნიშან–თვისებებს. სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში ისინი „საფარა–ზარზმის“ ჯგუფად იწოდებიან და ცხოველხატულ–დეკორატიული სტილის ხუროთმოძღვრების განვითარების ხაზში „ახალ საფეხურს“ წარმოადგენენ. ეს ტაძრებია – საფარა, ზარზმა, ჭულე, თისელი, ხობი, ცაიში, გერგეტის სამება და სხვა.[47]

კვლევამ გვიჩვენა ჰუჯაბის ტაძრის არქიტექტურულ–მხატვრული გადაწყვეტის უპირობოდ „ბეთანია–ქვათახევის“ ჯგუფის ტაძრებთან მსგავსება. მაგრამ ზოგიერთი ნიშანი, მას მოგვიანო ხანის „საფარა-ზარზმის“ ჯგუფთანაც აახლოვებს.

---

[45] ბერიძე ვ. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, I-IIტ., თბ., 2014. I.ტ. გვ. 328; თუმანიშვილი დ. კრებული „წერილები ნარკვევები“, თბ., 2001. ქართული ტაძრის გარე სახის ერთი თავისებურებისათვის, გვ. 82–89;

[46] ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974. გვ .60–62; ბერიძე ვ. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, I-IIტ., თბ., 2014. I ტ., გვ. 305–333;

[47] იქვე, გვ.333–334; ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974. გვ. 62–63;

ქართულ სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში, ხუროთმოძღვრების ისტორიულ ხაზში XIII ს-ის შუა წლებში გამოყოფილია ტაძრების კიდევ ერთი „მცირე ჯგუფი“, ერთგვარი „შუალედური რგოლი“, რომლებიც ამ ორ ჯგუფს შორის „გარდამავალ“ ნიშან–თვისებებს ატარებენ – ისინი ამჟღავნებენ ხუროთმოძღვრებაში ძველი მიღებული ნორმების რღვევის ტენდენციას და გარკვეულად სახავენ კიდეც გზებს „ახალი საფეხურის“ ჩამოყალიბებისათვის.[48] ეს ტაძრებია: ერთაწმინდა XIII ს-ის შუა წლები,[49] კარდენახის საბა–წმინდის ეკლესია XIII ს-ის მეორე ნახევარი,[50] თბილისის მეტეხი – XIII ს-ის 80–იანი წლები,[51] გუდარეხის სამრეკლო –1278 წ.[52] და სხვა. ეს ცვლილებები უკვე „ბეთანია–ქვათახევის“ ჯგუფში, ბოლოში მოქცეულ ეკლესიებიდან იწყება – XII–XIII სს–ის მიჯნისა და XIII სს–ის პირველი მეოთხედი – ფიტარეთი, წუღრუღაშენი, ფუძნარი, ქართლის მეტეხი, ახტალა... ამათთანაა ჰუჯაბის ტაძარიც.

ჰუჯაბის ტაძრის ხუროთმოძღვრებაში ამგვარი ე.წ. გარდამავლობის ნიშნებია: ა)დაბალი გუმბათი; ბ)ტაძრის საერთო სხეულებრივ აღნაგობაში სივრცულად გამოხატული ჯვრის მნიშვნელობის გაზრდა, გუმბათქვეშა კორპუსის ჯვრულად გაწყობილი „მკლავების“ სივრცით–მოცულობებთან შედარებით გვერდითი სადგომების დადაბლების ხარჯზე. შესაბამისად, „სივრცული“ ჯვარი მოცულობითი მასებით გამოხატული ექსტერიერსა და ინტერიერში ურთიერთშებმულად აქტიურად იკითხება. გარკვეულწილად, ტაძრის ზოგადი აღნაგობის ასეთი გადაწყვეტა გუმბათის დადაბლებას იწვევს. ამგვარი გადაწყვეტის პარალელია –თიანეთში ფუძნარის ეკლესია (XIIIს–ის დასაწყ.), გელათის წმ. გიორგის ეკლესია (XIII ს–ის დასაწყ.) და სხვა. ამას ჩვენ ვუწოდეთ, სივრცეში მასების მკაფიოდ გამოკვეთილი „საფეხუროვანი“ დანაწევრება, ეს, Xს–ის მეორე ნახევრისა და XI სს–ის ჯვარგუმბათოვანი ტაძრების სხეულებრივი აღნაგობის თვისება იყო – ოშკი, ალავერდი, სვეტიცხოველი, სამთავისი, სამთავრო. ხოლო, „ბეთანია–ქვათახევის“ ჯგუფში, ბოლოში მოქცეულ ეკლესიებში არქიტექტურული მასების სივრცეში კომპოზირების ეს თვისება, როდესაც ჯვარი მკაფიოდ იკითხება, ერთგვარად ძველის გახსენებად, რემინისცენციად გამოიყურება; გ)ჰუჯაბში აღმოსავლეთ ფასადის ტრადიციული სამკუთხა ნიშები, რომლებიც სარკმლებს ითავსებდა ინტერიერში საკურთხევლის გასანათებლად, ძალიან პატარაა და ცენტრალური სამი სარკმლის აქეთ–იქეთ, გვერდებზეა არიან განთავსებული. არქიტექტორმა, აღმოსავლეთის ფასადის გაფორმების ტრადიციულ წესს „გადაუხვია“

---

[48] გომელაური ი. ერთაწმინდის ტაძრის არქიტექტურა, თბ., 1976. გვ. 58–60;

[49] ბერიძე ვ. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, I-IIტ., თბ., 2014. I.ტ. გვ. 327,329;

[50] Чубинашвили Г.Н., Арх. Ках..., გვ.426–428;

[51] ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974. გვ. 63; ბერიძე ვ. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, I-IIტ., თბ., 2014. I.ტ. გვ. 327–329;

[52] ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974. გვ. 62;

და საკურთხევლის სამი სარკმლიდან, განაპირა ორი სამკუთხა ნიშებიდან „ამოიღო“ და ეს ნიშები ფასადზე მათ შემდეგ განათავსა. აქ ჩანს, რომ შემოქმედი თავისუფლად ელევა ტრადიციულ კომპოზიციას, რადგან არქიტექტურულ–ფუნქციური გადაწყვეტა მისთვის უფრო მნიშვნელოვანია. ტაძარი მთის ძირშია აგებული და „შეჭრილია“ კლდეში, რის გამოც დილის ჟამს ინტერიერში მზის სხივები ნაკლებად აღწევს. ეს „ახალებური“ გადაწყვეტა საკურთხეველს მეტ შუქს აწვდის, ვიდრე პატარა სამკუთხა ნიშების ფერდებზე მათი განთავსების შემთხვევაში იქნებოდა. ეს პატარა ნიშები ცხადია მცირედად კი განტვირთავენ კედლის მასას, მაგრამ მათზე უარი არ უთქვამს ხელოვანს, რადგან მისთვის აღმოსავლეთის ფასადის ეს სამკუთხა ნიშები – ქართული საეკლესიო მშენებლობის, მხატვრულ–დეკორატიული გაფორმების და ტაძრული მოდელის სიმბოლიკის შესატყვისი მკვიდრი, ჯერ კიდევ მყარი–ურყევი არქიტექტურული ნორმაა. მსგავსადვე, აღმოსავლეთის ფასადის გაფორმებაში პატარა ნიშები აქვთ „ბეთანია–ქვათახევის“ ჯგუფის ზოგიერთ ტაძარს, და უპირველესად, ისევ მის სიახლოვეს აღმართულ ეკლესიებს – წუღრუღაშენი, ფიტარეთი, ბეთანია... დ) ჯვრის მკლავებში სარკმლების დადაბლება, მათ შორის მანძილის გაზრდა ანელებს განათებას და სინათლის უფრო მშვიდი განაწილება შემოაქვს ინტერიერში. ე)გუმბათის სარკმლები ნაგებობის ამაღლებულ ჯვრულ კორპუსთან მიმართებაში შედარებით დაბლები არიან და დაბლა „დაწეული“ გუმბათის სარტყლისკენ. ეს უფრო მეტად ინტერიერში ჩანს. თავად გუმბათი ვიწრო და დაბალია შებამისად ეს სარკმლები უკვე ვეღარ შუქმფენობენ იმგვარად, როგორც ეს „ბეთანია–ქვათახევის“ ჯგუფის ტაძრებშია. შუქის „კლება“ სარკმლების შემცირების ხარჯზე „საფარა–ზარზმის“ ტაძრებს ახასიათებთ, მაგრამ აქ მხოლოდ ამ „გზის“ დასაწყისს ვხედავთ. ინტერიერში „მზის შუქის“ კლება „ევოლუციურ“ ჯაჭვში, კვლავ ბოლოში მდგომ ტაძრებს ახასიათებთ – მაგ. წუღრუღაშენი, ფიტარეთი და სხვა. ვ) გუმბათის დადაბლება აქტიურად იგრძნობა ექსტერიერშიც, შესაბამისად, მკლავებ–შორისი აფრების გარე კონსტრუქციების გადაწყვეტაში ხუროთმოძღვარმა მიმართა საკმაოდ იშვიათ მეთოდს, რასაც საქართველოში ადრეულ ჯვარგუმბათოვან ტაძრებში ვხვდებით. ასეთებია: ვაჩნაძიანის ყველაწმინდა[53], ნიკორწმნიდა[54] და მოქვი[55] ჩვეულებრივ, ექსტერიერში აფრების გარე სახეები წარმოდგენილია „პატარა სახლების“ მსგავსი მოცულობებით, გადახურული ორქანობა სახურავით. ჰუჯაბის ტაძრის გარეგან სახეში კი ამ კონსტრუქციული მონაკვეთის გადახურვა პირდაპირ პასუხობს და შეესატყვისება აფრების მორკალურ

[53] Чубинашвили Г.Н. Архитектура Кахетии, Тб.,1959. გვ. 301,302,303,304,305,306;

[54] Чубинашвили Г.Н. Вопросы истории искусства, т. I, Тб., 1970. Кумурдо и Никорцминда, как пример разных этапов развития Бароккального стиля в грузинском искусстве, . 1 ил 02,103;

[55] Рчеулишвили Л. Д. Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, Тб.,1988. Мокви, рис. ст. 55, 56, 57; ил.18.

ფორმას. შესაბამისად, ისინი ერთფერდაა, სამკუთხა ფორმის და მკლავებს შორის წვეტით ქვევით არიან მიმართული. ამ სამკუთხა ფორმის სახურავის ზედა კუთხეები ერთმანეთს უკავშირდებიან და „ებმიან“ გუმბათის ძირში და ჯვრის მკლავების ორფერდა გადხურვის კეხის ზემოთ – ანუ გუმბათსა და მკლავებს შორის თავსდებიან. ეს გადაწყვეტა პირდაპირ კონსტრუქციულია ფორმას მიუყვება, მაგრამ ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა. ჰუჯაბის შემთხვევაში, ეს ერთგვარად დეკორატიული ეფექტია ხელოვანის ხელში, რომელიც გუმბათის ძირში ტრადიციული „პატარა სახლების“ „აღებით“ და მათ ნაცვლად ქვემოთ დაფერდებული სამკუთხა გადახურვით ხსნის ხედს გუმბათის ძირზე, რის გამოც გუმბათი ჩანს სრულად, მთელი სიმაღლით. მის ძირში კი, მკლავებს ზემოთ ერთმანეთს შეკავშირებული „სამკუთხა“ სახურავები „ყვავილის“ ფოთლებივითაა გადმოშლილი. ეს მეთოდი ვიზუალურად აგრძელებს დაბალ გუმბათს, მეტ მნიშვნელოვანებას სძენს მას და ტაძრის ესთეტიკურ–მხატვრულ სახეს ამრავალფეროვნებს. ამდენად, ტაძრის დათვალიერებისას გუმბათის დადაბლება სივრცეში სრულებით არ განიცდება, მითუმეტესს, რომ გარდა ცოცხალი ფერადოვანი გაფორმებისა (აფრების გადახურვის კარნიზები ძირითადად ოქროსფერი ქვაშია გამოკვეთილი), ეს დეკორად ქცეული გადახურვა გუმბათსა და მკლავებს შორის განთავსებული, ყველა მხრიდან გამოჩნდებოდა, რადგან ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ტაძარს ხან ზემოდან ადგება მნახველი (მაგ. აღმოსავლეთით გუმბათის ძირის დონეზე გადის გზა...), ხან ქვემოდან და კუთხიდან, ისე რომ აქტიურად ხვდება დამთვალიერებლის თვალსაწიერში... ამ მოცულობების ხაზგასმულად დეკორატიულად გაფორმებას, ამავე ეპოქაში ვხვდებით წუღრუღაშენის[56], ახტალის[57] და ერთაწმინდის[58] ეკლესიებში.

ჩამოთვლილი ნიშან–თვისებები და კიდევ ერთი–ორი სხვა ამგვარი, ნაშრომში დეტალურადაა განხილული, მიგვანიშნებს ჰუჯაბის ტაძრის გარდამავალ ხასიათზე და ტაძარს ადგილს „ბეთანია–ქვათახევის“ ჯგუფის ბოლოში განუსაზღვრავს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ კონსტრუქციული ფორმის მსგავსი გადაწყვეტა სომხეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში არ გვხვდება.

• • •

ჰუჯაბის ტაძრის მხატვრული ინდივიდუალურობა მისი ფერადოვანი გადაწყვეტითაა განპირობებული.

---

[56] ზაქარაია პ. ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს., თბ., 1990. გვ. 125; შენიშვნა 28. გვ..254;
[57] იქვე, გვ. 145; pl. XLIX;
[58] გომელაური ი. ერთაწმინდის ტაძრის არქიტექტურა, თბ., 1976. ილ. 4(2); 9(1); 22(2);

XII-XIII სს–ის მიჯნაზე და XIII სს–ის I ნახევარში ქვაზე ჩუქურთმის კვეთის ხარისხი დაქვეითებულია, კვეთა არაა ღრმა, ნატიფი და ცხოველხატული; ნახატს დაკარგული აქვს პლასტიურობა და მოქნილობა, დაწვრილმანებულია, ზოგჯერ თვალში საცემად დაბრეცილია, არათანაბრად განაწილებული და გეომეტრიზებული; მნიშვნელოვნად შემცირებულია მოტივების რაოდენობა, ერთიდაიგივე მოტივი მეორდება; მრავალფეროვნებისა და მხატვრული დინამიურობის ეფექტის მისაღწევად მაგალითად, ერთი სარკმლის მორთულობაში ერთდროულად ორი–სამი მოტივის გამოყენება გვხვდება (ფიტარეთი), ან, ერთ სარკმლის მორთულობაში ერთი და იგივე ორნამენტული მოტივის სხვადასხვაფერის ქვით გამოყვანა (ჰუჯაბი, ბეთანია, წუღრუღაშენი და სხვა). ერთი სიტყვით ქვაზე კვეთის ოსტატურობა კრიზისს განიცდის. ამ პერიოდში შექმნილი ტაძრების მამკობი ჩუქურთმები ისეთი ძარღვიანი, ნატიფი და ცოცხალი სახეების შემქნელი აღარაა, როგორც უწინ იყო – ბაგრატი ნიკორწმინდა, სამთავისი, სამთავრო...[59] მაგრამ, წინა საუკუნეებიდან „მომავალი“ ტაძრების დეკორატიული გაფორმების შემოქმედებითი იმპულსები ჯერ კიდევ ცოცხალია და ეს, უფლის სახლის ნატიფად და ცხოველხატულად შემკობის ცოცხალი „მაჯისცემა“, ამ პერიოდში შექმნილ ტაძრების მხატვრულად დეკორირებაში ფერის კომპონენტის გაძლიერებით გამოიხატა.

როგორც აღვნიშნეთ, XII ს–დან ტაძრების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ქვემო ქართლში, თითქოსდა ერთიანად შეიმოსა „ძოწეულით“, რომელშიც ძვირფასი ქვებივით მახვილებადაა „ჩასმული–ჩაქსოვილი“ ოქროსფერი და მწვანე–ზურმუხტისფერი ქვები. ასეთებია: შიო მღვიმის დავით აღმაშენებლისეული ეკლესია, ყინცუისი, ტიმოთესუბანი, ფიტარეთი, ტყემლოვანი (ქოზიბას მონასტერი, შიდა ქართლი), ლამაზი საყდარი, თედორეწმიდა, ჰუჯაბი და სხვა. ტაძრების ფასადებზე წინა პლანზე გამოდის ქვის კვადრების განსხვავებული ფერის ნატიფი და ოსტატური თანაშეწყობით გამოყენება. ახლა უკვე ფერი იწყებს „მეტყველებას“, ის ხდება „ღვთის სახლის“ სიმშვენიერის გამომხატველი – ფიტარეთი, წუღრუღაშენი, ჰუჯაბი და სხვა. ამ პერიოდის ტაძრებს შორის ჰუჯაბი ერთ-ერთი განსაკუთრებულად ნაირფერადად აჟღერებული ტაძარია... მის ფასადებზე ფერადი ქვები, როგორც „აქვარელის“ ფერები სველ ქაღალდზე ისე „იჟღინთებიან“ ერთმანეთში და „აღწევენ“ ერთიმეორეში (გუმბათის და აღმოსავლეთის სარკმელი...). ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ხუროთმოძღვარი, როგორც ფერმწერი „ფუნჯით ხელში“ „მონასმებით“ ქმნის ტაძრის ფერადოვან–მხატვრულ სახეს. მაგრამ, ეს არაა ფასადებზე ფერების მხოლოდ ემოციური მიმოფანტვა. „არქიტექტორი“ ფერს იყენებს გარკვეული სისტემით, რომელიც თანხვდება XII ს–სა და XIII ს–ის დასაწყისის

[59] ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974. გვ. 48, 60, 62–63; ბერიძე ვ. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. I, თბ., 2014. გვ. 242, 310–345;

ტაძრების ზემოთ აღწერილ დეკორატიული მორთვის სისტემას – კარსარკმელთა ირგვლივ და გუმბათზე.

• • •

ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის სამხრეთისა და დასავლეთის ფასადებზე ორ-შეწყვილებულ სარკმელს შორის აღმართული ჯვარია გამოსახული. ეს უხვად მოჩუქურთმებული კომპოზიცია, მთლიანად ყვითელი ქვით არის შესრულებული; განსხვავდება სამხრეთი ფასადის კომპოზიცია. იგი პირდაპირი ხედით აღიქმება შორიდან. ფასადზე ორ სარკმელს შორის „აღმართული“ რელიეფური ჯვარი „წითელი“ ქვის სწორკუთხა ბაზისს ეყრდნობა. ეს ერთადერთი წითელი ქვაა ორ სარკმელს ირგვლივ თავმოყრილ და ოქროსფერ ქვით შესრულებულ კომპოზიციაში. რელიეფური ჯვრის ჰორიზონტალურ მკლავებს ზემოთ, საპირე წყობაში კიდევ ერთი, შედარებით მოკლე ოქროსფერი „მკლავია“ „ამოქსოვილი“. მუქი იისფერი ფასადების ფონზე, რომელიც ზოგჯერ „შედედებული სისხლისფერია“ (ჯვრის მკლავების გადაჯვარედინების ადგილზე), ოქროსფრად გაბრწყინვებული ეს კომპოზიცია განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს. ოქროსფერ კომპოზიციაში ერთადერთი წითელი ქვით შექმნილი ბაზისი, ცხადია, გოლგოთის მთასა და ზედ დაღვრილ მაცხოვრის ცხოველმყოფელი სისხლის სიმბოლოს წარმოგვიდგენს, ხოლო “დამატებითი”, ჰორიზონტალური ოქროსფერი „მკლავები“, რომელიც შორიდანვე უფრო მკაფიოდ იკითხება, ვიდრე თავად რელიეფური ჯვრის ჰორიზონტალური ღერძი – ჯვარცმული მაცხოვრის თავთ აღმართულ დაფას უნდა აღნიშნავდეს ჯვარცმულის ვინაობის და ბრალეულობის განმცხადებელი–მაუწყებელი წარწერით: “იესუ ნაზარეველი მეუფე ჰურიათაი”. (ოანე XIX. 19).

ტოლი და ერთნაირი სარკმლების (განსახვავებაა მხოლოდ ორნამენტული მოტივით) გამთლიანებულად (საერთო „ძირი“ აქვთ) და შეწყვილებულად წარმოდგენა ქართული ხუროთმოძღვრებისათვის არაა უცხო. სხვადასხვა ვარიაციებით ისინი ადრეული შუასაუკუნეებიდანვე მრავლად გვხვდება: ა)ერთი დიდი თაღის ქვეშ „თავმოყრილი“ ორი–ტოლი შეწყვილებული სარკმელი (შატბერდი–ენი–რაბათი.Xს.); ბ)ორ სარკმელს შორის, ცენტრში აღმართული გამაერთიანებელი სვეტი (უკანგორი. IXს, ცხინვალი.IXს., წირქოლი, ოშკი.963–973 წწ...); გ)წყვილ სარკმლებს შორის, შუაში აღმართულ სვეტის თავზე გამოსახული ჯვარი – (საფარის მიძინების ეკლესია.Xს.) და სხვა; ცხადია, ეს კომპოზიცია საქართველოს საზღვრებს გარეთაც გვხვდება. მაგალითად, სინას მთაზე, იუსტინიანეს ეპოქის, წმ. ეკატერინას სახელობის ტაძრის დასავლეთის ფასადი...

ამგვარი კომპოზიცია, ჯვრით გაერთიანებული ორი ტოლი ერთნაირი სარკმელი – ბოროტის ძლევის და ორი (განწვალებული)გაყოფილი სამყაროს – ცისა და მიწის, ხილული და უხილავი სამყაროს შეერთებას გულისხმობს, რაც გოლგოთაზე ჯვრით აღესრულა; სიმბოლურად ეს შეესატყვისება განკაცებულ ქრისტეში, ურთიერთშეურევლად არსებულ ორ ბუნებას – ღვთაებრივსა და კაცობრივს; იესო ქრისტე, სრული კაცი და სრული ღმერთი იყო.

შეწყვილებულ სარკმლებს შორის აღმართული ჯვრის კომპოზიცია, იმგვარი როგორიც ჰუჯაბშია, სხვადასხვა ვარიაციებით XII და XIII სს-ის პირველი ნახევრის ეკლესიების ფასადებზე გვხვდება. ეს ერთგვარი ეპოქალური ბეჭედია „ამოტვიფრული“ ტაძრების, ძირითადად სამხრეთისა და დასავლეთის ფასადებზე: ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, წუღრუღაშენი, ჰუჯაბი, ახტალა, ქართლის მეტეხი, ერთაწმინდა, ფუძნარი და სხვა...

საგანგებოდ აღვნიშნავთ ერთ გარემოებას: ეს ურთიერთმსგავსებით „დაღდასმული“ ჯვარგუმბათოვანი ეკლესიები, არა მხოლოდ ერთ ეპოქაში არიან აგებული და ერთიან “ჯაჭვს” წარმოგვიდგენენ, არამედ, რაც მნიშვნელოვანია კიდეც, მათი უმრავლესობა ერთგვარ რეგიონალურ ერთობასაც ამჟღავნებენ და გეოგრაფიულად „ჯაჭვისებრ“ ებმიან ერითმეორეს, ხოლო წუღრუღაშენი და ჰუჯაბის ეკლესიები კი, ერთი და იგივე ხეობის – „ბოლნისის ხევის“,ანუ, მდ. „ფოლადაურის“ თავსა და ბოლოში არიან აღმართული. ასე ვრცელდებოდა ერთიანი მხატვრული გემოვნება სამთავისიდან და სამთავროდან, XII ს–ის შემდეგ დაბრუნებულ და შემომტკიცებულ ტერიტორიებზე. მეფე–„მესიის მახვილი“ დაბრუნდა დედაქალაქ თბილისში და ქვეყნის პოლიტიკურმა ცენტრმაც აქეთ გადმოინაცვლა. ქვემო ქართლში, არაბების ბატონობისას მიტოვებულ–დანგრეული, ღვთისმსახურება შეჩერებული ტაძარ–მონასტრების აღორძინება–განახლების პროცესი დაიწყო და ცხადია, „ჯვრის სახედ ქმნილი“–ჯვარგუმბათოვანი ჰუჯაბისგვარი იისფერ–ძოწისფერი ტაძრების აღმართვა განსაკუთრებულ სულიერ მნიშვნელობას იძენდა, ხოლო ამ „სამეფისკარო“ მონასტრების მთავარი ტაძრების ფასადებზე ძლევამოსილი ჯვარი–„ძლევაის“ „აღმართვას“ შეწყვილებულ სარკმლებს შორის აღმართული ჯვრის კომპოზიციის სახით, განსაკუთრებული რელიგიური მნიშვნელობაც ჰქონდა: მართლმადიდებელი სარწმუნოების ქვეშ გაერთიანებული საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების ეს „ტვიფარი” აქ, ამ ახლად შემომტკიცებულ მხარეში, ჭეშმარიტი აღმსარებლობის უტყუარ სიმბოლოდ და ნიშნად წარმოდგებოდა.

ამგვარად, ვფიქრობთ ნათელია , რომ XII ს., XII-XIII საუკუნეების მიჯნასა და, კიდევ მეტად, XIII საუკუნის პირველ ნახევარში აგებული ტაძრები ერთიან უწყვეტ ისტორიულ–პოლიტიკურ, გეოგრაფიულ, ხუროთმოძღვრულ–დეკორატიულ–

ესთეტიკურ „ჯაჭვურ“ ბმაში არიან ერთმანეთთან და ამ ჟაჭვის ერთ–ერთ მნიშვნელოვან რგოლს ჰუჯაბის ჯვარგუბათოვანი ტაძარი წარმოადგენს.[60]

• • •

ჩვენ თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ჰუჯაბის ტაძარი აგებულია მეზობელი ქვეყნის, სომხეთის მონაპირე რეგიონთან ლორე–ტაშირისკენ მიმავალი გზის სიხლოვეს და ცხადია, მასთან ერთად ეს ტერიტორიაც მოსახლეობის სიჭრელეს განიცდიდა. ბუნებრივია, რომ ეს რაიმე სახით შეიძლებოდა ასახულიყო ადგილობრივი ხუროთმოძღვრების სახეში. კვლევამ ასეთად, გამოავლინა აღმოსავლეთის პატარა, სამკუთხა ნიშები – ისინი მათი ტრადიციული გარე–შემომწერი რელიეფური ლილვების გარეშე არიან წარმოდგენილი; ნიშების თავსართები ერთ ქვაშია (კვადრშია) გამოყვანილი და კედლის სიბრტყეს უსწორდება. საფასადე წყობიდან მხოლოდ ფერით გამოიყოფა – ისინი ოქროსფერია. სამკუთხა ნიშის თაღი ამოკვეთილია თავსართის სიღრმეში. თავსართის კვადრის ზედაპირი გამშვენებულია „ხაზობრივად „ დაბალი კვეთით შესრულებული აღმოსავლური „მუზარადისებური“ ფორმის თაღით. ეს მოტივი და სხვა აღმოსავლური მოტივები საქართველოში ამ დროიდან იწყებს შემოსვლას.[61] აქ მხოლოდ მსუბუქად არის „მოსინჯული“ ეს ახალი დეკორატიული მოტივი. მაგრამ, აქვე, თაღიდან ამ „მუზარადისებური“ თაღიდან სამხრივ, ზემოდან და გვერდებიდან ერთმანეთისკენ მიმართული ქართული ტაძრების და კანკელების სახასიათო დეკორატიული „სამყურეებია“ გამოქანდაკებული; ისინი ფარავენ და „კეტავენ“ პატარა სამკუთხა ნიშების სიღრმეში პატარა კონქებს. გუმბათზე კარნიზსა და სარკმლების თაღნარს შორის ე.წ. გუმბათის შუბლზე, მასშტაბურად დიდი, მსხვილფორმებად დაბურცული ლომის რელიეფური გამოსახულებაა განთავსებული... განხილვამ გვიჩვენა, რომ ამ ახალი მოტივების გამოყენება არ არის მხოლოდ მიბაძვა და გაუაზრებელი გადმოღება არსებული სახის. ხუროთმოძღვარი „მოაქცევს“ მათ „ქართულ ყაიდაზე“, გადაამუშავებს და ამგვარი სახით მიუსადაგებს თავის ძეგლს. რადგან, ტაძრის ეროვნული რაობა დღემდე სადავოა, ჰუჯაბის ტაძრის ეროვნული სახის უკეთ გამოსაკვეთად ნაშრომის ერთი ნაწილი დავუთმეთ სომხურ–ქართული სატაძრო არქიტექტურის შედარებებს და მათი დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთას.

---

[60] აბაშიძე ქ. ჰუჯაბის ივერიის ღვთისმშობლის მონასტერი, ლევან რჩეულიშვილი 100, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2009. გვ.70-83;

[61] ბერიძე ვ. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, I ტ., თბ., 2014. გვ.367;

• • •

1921 წ-მდე ქვემო ქართლის ეს ტერიტორიები, „სომხითი“ და ლორე, საქართველოს ეკუთვნოდა შეუქცევლად. 1914–1918 წწ–ის მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების ფონზე ვითარება შეიცვალა. პირველმა მსოფლიო ომმა და მის დასასრულს დადებულმა საზავო ხელშეკრულებებმა (ბრესტის, ვერსალის, სენ-ჟერმენის, სევრის), თანაბრადვე, მეფის რუსეთში მიმდინარე ცვლილებებმა – 1917 წ-ის თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, და შემდეგ, ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ... მსოფლიო არსებითად შეცვალა და შეიქმნა „მსოფლიო სახელმწიფოთა ურთიერთობებისა და მათ შორის საზღვრების სრულიად ახალი სისტემა“.[62] საქართველოს საზღვრების დადგენა მსოფლიოს გადანაწილებაში ძირითად მსხვილ მოთამაშეთა ინტერესებს თანხვდა, დიდწილად ეს იყო თურქეთი(ოსმალეთი) და რუსეთი.

1918 წ–ის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღდგა. დამოუკიდებელი ქვეყნის – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე იმთავითვე დადგა მეზობელ სახელმწიფოებთან – რუსეთთან, ოსმალეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან სახელმწიფო საზღვრების დადგენის რთულად გადასაჭრელი საკითხი.

ცხადია, ქართული სახელმწიფოსთვის გამიჯვნის ეთნოგრაფიული პრინციპი ეროვნული უმრავლესობის გათვალისწინებით მიუღებელი იყო, რადგან ის გამორიცხავდა და უარყოფდა სადაო ადგილების ისტორიულ, ბუნებრივ–გეოგრაფიულ, კარტოგრაფიულ, სტრატეგიულ, ეკონომიკურ და გამიჯვნის სხვა წესებსა და პრინციპებს.[63]

ქართულ–სომხურ დიპლომატიურ დავაში სომხები საკუთარ მოსაზრებებს და სურვილებს იმით ასაბუთებდნენ, რომ, სადაო ადგილებში – ბორჩალოს მაზრა, ახალქალაქი, ბათუმის ოლქი და სხვა..., ერთად დასახლებული ბევრი სომეხი ცხოვრობდა. ისინი არ ითვალისწინებდნენ, რომ XIX ს–ის 20–30–იან წლებიდან დაწყებული საქართველოში სომხების ძალიან დიდი რაოდენობით გადმოსახლება და ამ ტერიტორიებზე დასახლება რუსული პოლიტიკის შედეგი იყო; სხვა მხრივ კი, მათ (სომხებს) შავი ზღვისკენ გასასვლელი გზა ესაჭიროებოდათ.[64]

---

[62] აბაშიძე ზ., ვაშაკიძე ვ., მირიანაშვილი ნ., ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2014. გვ. 112;;

[63] იქვე, გვ. 125;

[64] იქვე, გვ. 126–128;

1918წ–ის 8/XII სომხეთის ჯარმა დაიწყო საომარი მოქმედება ლორესა და ბორჩალოს მაზრის დასაკავებლად. საქართველომ დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა სომხეთთან და ქართულმა ჯარმა დაიწყო საპასუხო საბრძოლო მოქმედებებით წინსვლა...[65]{34} კონფლიქტი კავკასიაში მყოფი ინგლისის და საფრანგეთის მისიის წარმომადგენლების ჩარევით ზავით დასრულდა. 1919წ–ის 7–17 იანვარს თბილისში გამართულმა სამშვიდობო კონფერენციამ ომის დამთავრება იურიდიულად გააფორმა და უცხოური მისიის მონაწილეობით შეიქმნა ბუფერული ზონა – „ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონა“, ან, ლორეს ნეიტრალური ზონა.[66]

ტრადიციულად, ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი კარტოგრაფიული წესით დგინდება და გადის ძირითად ქედებსა და დიდ წყალგამყოფებზე (მდინარეები და სხვა...). ამ შემთხვევაში კი „ლორეს ნეიტრალური ზონა“ (ან „ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონა“) დროებითი მოქმედების უნდა ყოფილიყო და მიზნად ისახავდა სიტუაციის დამშვიდებას; შესაბამისად მისი სადემარკაციო საზღვრებიც დროებითი იყო – საჰაერო. საზღვრები ამ ბუფერული ზონის ირგვლივ ნაჩქარევად იყო მიღებული ორ ერს შორის დაძაბულობის განსამუხტად და არ იყო დადგენილი საყოველთაოდ მიღებული წესებით – კარტოგრაფიული–ბუნებრივი და გეოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური, ან სხვა... პრინციპების გათვალისწინებით. ეს სამხედრო–საჰაერო სადემარკაციო საზღვარი უმეტესად ტყის მასივებს მოიცავდა, რომლებიც საომარი მოქმედებების დროს იყო გამოყენებული სომხური ჯარის მიერ. ამიტომ „ნეიტრალური ზონის“ (დაახლ. 25კმ.) გარეშემომწერი საზღვარი პირობითად ტყის ნაპირების გაყოლებით გაატარეს, რომელიც ორ ქვეყანას შორის საზღვრისთვის ცხადია არაა მყარი მოცემულობა... ამ ბუფერული ზონის საზღვრები პირობითად დააფიქსირეს იქ, სადაც საომარი მოქმედებების დროს მოწინააღმდეგეების ჯარები შეაჩერეს.[67] აქედან რამდენიმე თვეში, 1919 წ. აგვისტოში ბრიტანეთის ჯარმა ბორჩალოს მაზრიდან და მესხეთიდან გაიყვანა ჯარები, ხოლო 1920 წ–ის ივლისში ბათუმიც დატოვა. ბრიტანეთი ერიდებოდა პრობლემებს ბოლშევიკურ რუსეთთან. „ინგლისელების წასვლა ამიერკავკასიიდან ნიშნავდა ამ ქვეყნის მიტოვებას მაშინ, როდესაც ჩრდილოეთიდან მას უკვე უახლოვდებოდა რუსეთი, სამხრეთიდან კი ოსმალთა ახალი ჯარები ირაზმებოდნენ. ჯერ განუმტკიცებელ საქართველოს რესპუბლიკას დამხმარე ხელი ესაჭიროებოდა.“[68]

1920 წ. 27 აპრილს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აზერბაიჯანში, 1920 წ. 29 ნოემბერს სომხეთში... 1921 წ. 11 თებერვალს მე–11 წითელმა არმიამ სომხეთის მხრიდან

---

[65] იქვე, გვ. 128;
[66] იქვე. გვ.129-131;
[67] იქვე, გვ.143-144;
[68] იქვე, გვ.130;

დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები და 1921 წ. 25 თებერვალს საქართველოშიც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება...[69]

ამ დროიდან საქართველოს–სომხეთის საზღვრების საკითხი ღიად დარჩა – 1919 წ. იანვრიდან დადგენილი დროებითი ნეიტრალური ზონის გარეშემომწერი საჰაერო–სადემარკაციო საზღვარი ტყის მასივის „სანაპირო ზოლზე“– ტყის პირზე გამავალი, დღემდე „დროებითად“ რჩება... საქართველოს კომუნისტებმა საზღვრების საკითხი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით გადაწყვიტეს. სომხებს ძალიან ცოტა ჰქონდათ ტყის მასივები. შესაბამისად, ხის მასალა ესაჭიროებოდათ და ითხოვდნენ, რომ ბუფერული ზონის ჩრდილოეთი მხარე მთლიანად ე.ი. გამოდის ბუფერული ზონა ერთიანად, მათთვის გადაეცათ და ამ ზონის შემომფარგვლელი, ტყის პირზე გატარებული პირობითი ზღვარი ჩრდილოეთით მიეღოთ (ეცნოთ) სომხეთ–საქართველოს შორის დადგენილ საზღვრად... ამ, ვუწოდოთ ასე, ინტერნაციონალური პრინციპით ლელვარის მთის ჩრდილოეთ მხარეს, ანუ, მის ძირში მდებარე სოფლები საქართველოს შემადგენლობაში დარჩა, ხოლო მათი მიმდებარე სავარგულები და ტყეები კი გადაეცა სომხეთს. აღვნიშნავთ, რომ სომხებს მოსახლეობა მხოლოდ ლელვარის ქედის გადაღმა, სამხრეთ მხარეს, 20–25კმ–ის მოშორებით ჰყავდათ...ამ დროიდან საზღვრების გადახედვა და ცვლილებები თითქმის ყოველწლიურად ხდებოდა... და მაინც, დროებითად დადებული საზღვრის საკითხი დღესაც დაუდგენელია...[70] ასეთ ვითარებაში არავის ახსოვდა ტყეში, მდ. ფოლადაურის შენაკადის „ჰუჯაბის წყლის“ ხეობაში, სასაზღვრო ზოლიდან – „ტყის პირიდან“ 350–400მ–ის დაშორებით, მთის ფერდზე შეფენილი ჰუჯაბის ივერიის ღმრთისმშობლის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში აღმოჩნდა და მასთან ერთად რუსი მონოზვნები, რომლებიც აქ 1905 წ–დან ცხოვრობდნენ... მონასტერთან უახლოესი დასახლება, მისგან ჩრდილოეთით მდებარე ს.ახკერპია. ძველად აქ ორი სოფელი ყოფილა ჰუჯაბი და ზემო ჰუჯაბი. იგი, მონასტრისგან 1კმ–ის დაშორებით საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებშია, მაგრამ მიუხედავად ამგვარი სიტუაციური მდებარეობისა, ქვეყნის გასაბჭოებიდან ტყესთან ერთად ჰუჯაბის მონასტერი სომხეთის სოციალისტურ რესპუბლიკის ს. პრივოლნოეში არსებულ რუსულ, მართლმადიდებელ ეკლესიას მიაწერეს,[71] რომელიც ლელვარის ქედს გადაღმა, ჰუჯაბის მონასტრიდან 20–22კმ–ის დაშორებით მდებარეობს.[72]

---

[69] იქვე, 131, 132, 134;

[70] იქვე, გვ141–148;

[71] ხარაძე კ. ჰუჯაბი XX საუკუნის ტრაგედია, თბ., 2012. გვ..90-93;

[72] აბაშიძე ზ., ვაშაკიძე ვ., მირიანაშვილი ნ., ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე) თბ., 2014., გვ. 146–147;

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა პერიოდში ლორეს, ანუ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის დროებითმა საზღვარმა მრავალი პრობლემები წარმოშვა და ბევრჯერ გადაიხედა.[73] თუმცა, მუდამ რჩებოდა ინტერნაციონალური ძმობის პრინციპი, რომ სომხეთს ძალიან ცოტა აქვს ტყის მასივები და ამ მხრივ დახმარებას საჭიროებდა... იმხანად კი ისტორიული რეალობა, მეტადრე კი საეკლესიო კულტურა არც ახსოვდათ ამ დავის მონაწილეებს. კულტურის საზოგადოების არც ერთი წარმომადგენელი საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ, არ მიუწვევიათ განხილვებზე. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი მხრიდან სიტყვაც კი არ თქმულა სამონასტრო კომპლექსისა და მისი ნაგებობების სულიერ, მხატვრულ და კულტურულ ღირებულებებზე. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა მონასტერი გაახსენდათ 1934–1936 წწ–ში.[74] მანამდე, როგორც ჩანს რუსი დედების მიერ 1905 წ. ჰუჯაბის უდაბნოს ივერიის ღვთისმშობლის სახელწოდებით აღორძინებული მონასტერი[75] გაჭირვებით, მაგრამ მაინც ფუნქციონირებდა... 1934 წ–ს, როდესაც დადგა საკითხი მონასტრის საქართველოსთვის გადაცემაზე, რადგან მას საქართველოს რესპუბლიკასთან ბუნებრივ–გეოგრაფიული, ეკონომიკური სიახლოვე ჰქონდა და საარსებოდაც, როგორც ბერმონაზონთათვის, ასევე ს.ახერპის მოსახლეობისთვის უფრო უპრიანი იყო, სომხეთის მხრიდან უარყოფითად გადაწყდა... ცხადია, იმ ხანად ისტორიას არავინ ითვალისწინებდა, არათუ რელიგიას, (ეს საშიშიც კი იყო!) და სომხეთიდან მიიღეს უარი იმ მოტივით, რომ ისინი გეგმავდნენ მონასტერი გადაეკეთებინათ – ან სანატორიუმად, ან ფერმად (ღორების, ან ფუტკრების...), ან, დაეშალათ და გამოეყენებინათ სამშენებლო მასალა...[76] იმ ხანად კულტურული მემკვიდრეობისადმი და რელიგიისადმი ასეთი იყო დამოკიდებულება, როგორც ქართველი, ასევე სომეხი ეროვნების კომუნისტებისგან... შედეგად, 1935 წ. სომხურმა მხარემ კომუნისტთათვის ჩვეული აგრესიულობით დახურა მონასტერი, და იქ მოღვაწე მონოზვნები ს. ახკერპში პატარა ქოხში გადმოვიდნენ (გამოდევნეს) საცხოვრებლად... ეს მდგომარეობა დღემდე უცვლელად ასე რჩება.

• • •

სახელმწიფოების მხრიდან პოლიტიკური ვითარების შესაბამისად საზღვრების შესახებ საკითხი მომავალშიც ბევრჯერ გადაიხედება, მაგრამ ეს სრულებით არ არის სამეცნიერო პრობლემა. მეცნიერთა წინაშე დგას სხვა ამოცანა: შეისწავლონ სასაზღვრო

[73] ხარაძე კ. ჰუჯაბი XX საუკუნის ტრაგედია, თბ., 2012., ჰუჯაბის პრობლემა საბჭოთა წლებში, გვ. 63–94;

[74] იქვე, გვ. 84-93;

[75] იქვე, ..., ჰუჯაბის ბედი XXსაუკუნის გარიჟრაჟზე, გვ.49–51;

[76] იქვე, ..., ჰუჯაბის პრობლემა საბჭოთა წლებში, გვ.84–93;

რეგიონების ისტორიულ–კულტურული კონტაქტები და გამოიკვლიონ თითოეული მოსაზღვრე ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა. ცხადია, ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობის მქონე მხარეებში კულტურათა ურთიერთგადაკვეთა ბუნებრივად გამოიყურება, მხოლოდ, აუცილებლად გასათვალისწინებელია, თუ როგორი აისახება ყოველ ცალკეულ ეპოქაში ქვეყნის პოლიტიკური ვითარება განსახილველ ჭრელი მოსახლეობის სანახებში, აგრეთვე როგორია იმ ეტაპზე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და კონფესიური მიმართება.

ტაძარი დღეს ძლიერ დაზიანებულ მდგომარეობაშია, ფაქტობრივად იგი ხეებში გახვეულ ნაგებობას წარმოადგენს. ჩვენს თვალწინ, აგერ უკვე 30–40 წლის განმავლობაში ნაგებობა ძლიერ დაზიანდა და რღვევისა და ნგრევის პირასაა.

ამ კულტურულ მემკვიდრეობას ჰყავს ორი „პატრონი“ და ტაძარი, მაინც ნგრევის პირასაა!!!...

დღეს რაელობა ასეთია – სომხეთიდან, რომელსაც 1921 წ–დან მიაკუთვნეს ეს ტერიტორია, ამჟამად მონასტრისკენ პირდაპირი გზა არ აქვს საქართველოს ტერიტორიის გავლის გარეშე; მთებით, ბუნებრივ–გეოგრაფიულად ჩაკეტილ ჰუჯაბის სივრცეში არ ყოფილა და არც ამჟამად არსებობს სხვა გზა სომხეთიდან; ასევე, ცხადია, რომ ახალი გზის გაჭრა ლელვარის მთის ქედზე რთული განსახორციელებელია... კვლავ, როგორც ეს საუკუნეების მანძილზე იყო, ასეთ გზად რჩება ლელვარის მთის ქედზე არსებულ კლდეკარზე–„მგლის კარის“ სახელით ცნობილ უღელტეხილზე გამავალი ისტორიული გზა, რომელიც კლდეკარიდან მდ. ფოლადაურის მარცხენა ნაპირს მიუყვება საქართველოს ტერიტორიაზე. ეს იყო ძველი მოკლე გზა „ბოლნისის ხეობით“ საქართველოს დედაქალაქ თბილისამდე. ქართლის ცხოვრების უწყებით, საქართველოში ამ გზით შემოვიდა ჯალალ-ედინი. მდ. ფოლადაურის მარჯვენა ნაპირისკენ კი, რომელიც ამჟამად ახლო მდებარე ტყის პირის გასწვრივ სომხეთს ეკუთვნის მხოლოდ საცალფეხო ბილიკია.

კლდეკარიდან („მგლის კარი“), დღეს სადაც დროებითი სასაზღვრო–გამშვები პუქტია მოწყობილი, სამანქანო გზით, რომელიც საბჭოთა კავშირის დროსაც მოქმედებდა, ჯერ უნდა გადაკვეთო საზღვარი და საქართველოში შემოხვიდე; შემდეგ, ქვემოთ, პირველივე დასახლებული პუნქტიდან, ს. ახკერპიდან (ძველად ს. ჰუჯაბი) სამხრეთით 1 კმ–ში, „ტყის პირის“ – ანუ, ორ ქვეყანას შორის საზღვრის (!) კვლავ გადაკვეთით შეიძლება მიხვიდე მონასტერთან. საქართველოს ტერიტორიიდან, ს. ახკერპიდან საზღვარი ახლოა, მაგრამ ზემოთ, კლდეკართან არსებული სასაზღვრო–გამშვები პუნქტების გარეშე გადაკვეთა ვერ ხერხდება...

ამდენად, ვფიქრობ, რომ ტაძრის ფიზიკურად გადარჩენისთვის სამეცნიერო აზრი და პოლიტიკური ნება ორივე ქვეყნის უნდა შეჯერდეს და აღდგენითი, გამაგრებითი და სარესტავრაციო–კვლევითი სამუშაოები ერთობლივად განხორციელდეს...

ტაძრის, და ზოგადად, მონასტრის კომპლექსის, როგორც ხელოვნების ნაწარმოების კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილების საკითხი სამეცნიერო აზრის სფეროს განეკუთვნება. დაადგინო და განსაზღვრო ქართველი თუ სომეხი არქიტექტორის (თუ ხელოვანის) ნახელავია შუა საუკუნეების საეკლესიო ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში, აუცილებელს ხდის არამარტო ხელოვნებათმცოდნეების, არამედ მთელი რიგი საისტორიო თუ სამწერლობო დარგების წარმომადგენლების, ენათმეცნიერების და პალეოგრაფების, საეკლესიო პირების, თეოლოგების და სხვა... ერთობლივ მუშაობას. აუცილებელია ყველა მხარის თანამონაწილეობა... ყოველი საკითხისადმი კომპლექსური მიდგომაა საჭირო. ამასთან საერთაშორისო სამეცნიერო წრეების ჩართულობა არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი.